# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 15 ნოემბერი 2001 №219 (1492) | ფასი 50 თეთრი

REUTERS დორტმუნდიდან



მიხაელ ბალაკმა უკრაინელებს სამჯერ გაუტანა: ერთხელ კიევში, ორჯერაც წუხელ დორტმუნდში

REUTERS



სლოვენიელები მეცხრე ცაზე და მსოფლიოს ჩემპიონატზე

# ნარჩევები და ნარჩენები

- გერმანელებმა უკრაინელებს საკონცენტრაციო ბანაკი მოუწყეს
- თურქებმა ავსტრია გაფატრეს
- სლოვენიამ რუმინეთს ჰაჯი უტირა
- ბელგია ჩეხეთს რუსული ტანკივით მიაწვა

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

იხილეთ მეორე გვერდი



თვენახევარია, მერაბ ჟორდანია თბილისში არ უნახავთ

# ჟორდანია მოძრავია

## პოლიცია ფედერაციის პრეზიდენტს დინამოს უძრავ-მოძრავს ედავება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გუშინწინდელი აღმასკომის სხდომის წინ პოლიციამ მოიკითხა ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, რომელიც თვენახევარია უცხოეთშია და ფედერაციისვე გენმდივნის განმარტებით, მივლინებას კუთვნილი შვებულება მოაყოლა. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველო მერაბ ჟორდანიას თბილისის „დინამოს" მიერ გადასახადების დამალვის გამო აღძრულ საქმესთან დაკავშირებით დაეძებს. სამართალდამცავთა თქმით, ჟორდანიას კლუბის პრეზიდენტობისას გადამალულმა 2,2 მილიონმა იბარტყა და საურავიანად 6 მილიონ ლარად იქცა.

იხილეთ მესამე გვერდი

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## პლეი ოფი. საპასუხო მატჩები

**რუმინეთი 1:1 სლოვენია (1:2)**

0:1 რუდონია (56), 1:1 კონტრა (65)
რუმინეთი: ლობონტი, კონტრა, მიუ (მიჰალჩია 78), გიოანე (განია 58), კოვუ, პოპესკუ, საბეუ, დ. მუნტიანუ, მ. ნიკულაე, მუტუ (ბანჩუ 58), ა. ილიე
მწვრთნელი: გეორგე ჰაჯი
სლოვენია: სიმეუნოვიჩი, მილინოვიჩი, ვუგდალიჩი, გალიჩი, ნოვაკი, ა. ჩეჰი, ოსტერცი (პავლოვიჩი 89), პავლინი, რუდონია, გაიზერი, აჩიმოვიჩი (სანკოვიჩი 62)
მწვრთნელი: სრეჩკო კატანეცი
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
24 500 მაყურებელი

**ჩეხეთი 0:1 ბელგია (0:1)**

0:1 ვილმოტსი (86პ)
ჩეხეთი: სრნიჩეკი, იოჰანა (იაროშიკი 58), ჰუბშმანი, ირჟი ნოვოტნი, იანკულოვსკი, პობორსკი (სიონკო 46), ჰაშეკი (შმიცერი 67), როსიცკი, ნედვედი, ბაროში, ლოკვენცი
მწვრთნელი: იოჟეფ ხოვანეცი
ბელგია: დე ფლიგერი, დეფლანდრე, კლემენტი, დე ბუკი, ვან კერკჰოვენი, ვერმანტი (ვანდერეგე 90), სიმონსი, გოორი, ვალემი (ბოფინი 84), ვერჰეინი, სონკი (ვილმოტსი 63)
მწვრთნელი: რობერ ვასეჟი
გაძევება: ნედვედი (88), ბაროში (88)
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
18 996 მაყურებელი

**თურქეთი 5:0 ავსტრია (1:0)**

1:0 ბაშთურქი (21), 2:0 ჰაქან შუქური (30), 3:0 ოკანი (44), 4:0, 5:0 არიფი (68, 83)
თურქეთი: რუშთუ, დავალა უმითი, აბდულა, უმით ოზატი, ალფაი, ემრე ასიქი, ოკანი (სერგენი 62), თუგაი, ბაშთურქი (არიფი 41), ჰაქან შუქური, ჰასან შაში
მწვრთნელი: შენოლ გიუნეში
ავსტრია: ვოლფარტი, პრილასნიგი (კიცბიხლერი 46), ვუკოვიჩი, ვინკლჰოფერი, ფლოგელი, ლექსა (შოპი 54), შტრაფნერი, ჰიდენი, ვასტიჩი (ვაისენბერგერი 74), ჰერცოგი, ჰაასი
მწვრთნელი: ოტო ბარიჩი
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
22 000 მაყურებელი

**გერმანია 4:1 უკრაინა (1:1)**

1:0 ბალაკი (4), 2:0 ნოივილი (11), 3:0 რემერი (15), 4:0 ბალაკი (51), 4:1 შევჩენკო (90)
გერმანია: კანი, რემერი (ფ. ბაუმანი 87), ციგელინკე, იენს ნოვოტნი, რამელო, ბ. შნაიდერი, ჰამანი, ბალაკი, იანკერი (ბირჰოფი 58), ნოივილი (რიკენი 70)
მწვრთნელი: რუდი ფიოლერი
უკრაინა: ლევიცკი, ლუჟნი, ნესმაჩნი (მიშჩენკო 55), გოლოვკო, ვაშჩუკი, პარფიონოვი, ტიმოშჩუკი (გუსინი 24), სკრიპნიკი, ზუბოვი, შევჩენკო, ვორობეი (რებროვი 70)
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)
52 000 მაყურებელი

## მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ

| | |
|---|---|
| საფრანგეთი (ჩემპიონი) | ხორვატია |
| იაპონია (მასპინძელი) | პორტუგალია |
| სამხრეთ კორეა (მასპინძელი) | დანია |
| კამერუნი | იტალია |
| ნიგერია | აშშ |
| სენეგალი | ჩინეთი |
| სამხრეთ აფრიკა | საუდის არაბეთი |
| ტუნისი | პარაგვაი |
| კოსტა რიკა | ეკვადორი |
| არგენტინა | მექსიკა |
| შვედეთი | გერმანია |
| პოლონეთი | თურქეთი |
| ესპანეთი | ბელგია |
| რუსეთი | სლოვენია |
| ინგლისი | |

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართება პუსანში (სამხრეთ კორეა) 1 დეკემბერს

## ჰოლანდია

II დივიზიონი. XIV ტური

**მაასტრიხტი 1:0 დენ ჰააგი**

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XVI ტური

**ამიენი 2:0 ნიცა**

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

1/8 ფინალი

საპასუხო მატჩები

**საფრანგეთი 4:0 რუმინეთი (1:0)**

1:0 სორლინი (13), 2:0, 3:0 ჟ. სისე (39, 41), 4:0 სორლინი (60)

**შვეიცარია 2:1 უკრაინა (2:1)**

0:1 აკოპიანი (63), 1:1 კაბანასი (70პ), 2:1 ა. ფრეი (78პ)

**იტალია 0:0 პოლონეთი (5:2)**

საფრანგეთი, შვეიცარია და იტალია ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ

## ესპანეთი

II დივიზიონი

გადადებული მატჩი

**ხიმნასტიკო 2:0 ფეროლი**

## ამხანაგური მატჩები

**მალტა 2:1 კანადა**

1:0 კარაბოტი (33პ), 1:1 სელტერი (42), 2:1 მიფსუდი (75)

**საბერძნეთი 1:2 კვიპროსი**

0:1 ოკასი (41), 1:1 ლიბეროპულოსი (86), 1:2 იოაკიმი (88)

**ლატვია 1:3 რუსეთი**

0:1 ხოხლოვი (8), 0:2 ალენიჩევი (47), 0:3 ბანოვი (72), 1:3 ასტაფიევსი (89)

**უნგრეთი 5:0 მაკედონია**

1:0 ლისტეში (3), 2:0 ფერენცი (25), 3:0 ა. ტოკოლი (56პ), 4:0 ტოკოდი (66), 5:0 ლისტეში (75)

**პოლონეთი 0:0 კამერუნი**

**ესტონეთი 0:0 ყაზახეთი**

**ესპანეთი 1:0 მექსიკა**

1:0 რაული (73)

**პორტუგალია 5:1 ანგოლა**

0:1 ა. მენდონსა (1), 1:1 ფიგუ (26პ), 2:1 ნუნო გომეში (36), 3:1 ჟორჟე ანდრადე (39), 4:1 ბოა მორტე (47), 5:1 ნუნო გომეში (63)

**მაროკო 1:0 ზამბია**

1:0 როკი (86)



## ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. VI ტური 14 ნოემბერი

**A ჯგუფი**

ბენეტონი 88:72 ულიონკერი
შარლერუა 79:75 ეფესი

**B ჯგუფი**

ოლიმპია 81:55 სკაილაინერზი

**D ჯგუფი**

პარტიზანი 68:80 სკავოლინი
ოსტენდე 74:88 ტაუ
ურალ გრეიტი 86:77 აეკ
ციბონა 70:82 ვილერბანი

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80






გუშინ მთელი გერმანია ფეხბურთელებივით და მათ მწვრთნელ რუდი ფიოლერივით ხტოდა და ცეკვავდა




აი, თურქული ქინი! თვალჩალურჯებული ჰაქან შუქური ავსტრიელ გერალდ შტრაფნერს იოტისხელასაც არ უთმობს




ჩვენი ჯგუფელი რუმინელები აი, ამ ბიჭივით ატირდნენ




ამათ აღარაფერი აღარდებთ: ემანუელ ოლისადებეს (№11) პოლონეთიც და რაიმონ კალას კამერუნიც უკვე კორეა-იაპონიაში არიან

# პოლიციის პოზიცია: ჟორდანია გადაადგილდეს, ფული გადმოადგილდეს

## ფედერაციის პრეზიდენტს 28 მილიონი ოცდამერვედ შეახსენეს

*დაახლოებით თვენახევარია, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია საზღვარგარეთაა. კონკრეტულად რომელ ქვეყანაში იმყოფება, ეს სფფ-ში ვერ შევიტყვეთ. მერაბ ჟორდანიას ამგვარმა გაუჩინარებამ ათასი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. გაჩნდა ვერსიაც, თითქოს იგი პოლიციას ემალება.*

*შსს-ს საგამომძიებლო სამმართველო მართლაც იძიებს საქმეს, სადაც თბილისის „დინამოს“ ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ფიგურირებს. მანამდე კიდევ ერთი, ეგრეთ წოდებული „28 მილიონის“ საქმეც იყო აღძრული, რომელიც ახლა შეჩერებულია.*

*შექმნილ ვითარებაში უკეთ გასარკვევად საგამოძიებო სამმართველოს კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის ხაზით გამოვლენილ დანაშაულებათა გამოძიების განყოფილებას მივმართეთ. საუბარში სწორედ ამ უწყების ხელმძღვანელი ზაზა ყულოშვილიც ჩაგვერთო, კითხვების უმეტესობაზე კი განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსმა გამომძიებელმა ვალერი გორგოძემ გვიპასუხა, რომელიც უშუალოდ იმ საქმეს უძღვება, სადაც მერაბ ჟორდანია ფიგურირებს.*

*ვალერი გორგოძე:* აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ასე ჰქვია: საფეხბურთო კლუბ დინამო თბილისის ხელმძღვანელი პირების მიმართ აღძრული საქმე, რომელიც დანაშაულის ნიშნებით აღიძრა — გადასახადებისგან თავის აცილება. ეს საქმე წარმოებს 2000 წლის 16 ოქტომბრიდან. ჩატარებულია რევიზია, რომელმაც საფეხბურთო კლუბ დინამო თბილისის საქმიანობის გარკვეული პერიოდი მოიცვა. ამის შემდეგ პროცესუალური მოთხოვნით, რევიზიის მასალებზე დაყრდნობით დაინიშნა სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზა, რომლის ჩატარებაც დროს მოითხოვს, რადგან საკმაოდ ბევრი მასალაა დაგროვილი.

**— როგორც საზოგადოებისთვისაა ცნობილი, გამოძიებას შვეიცარიის ერთ-ერთ ბანკთანაც მიყავხართ და თქვენ უკვე დაუკავშირდით კიდეც შვეიცარიელ კოლეგებს. რა მოჰყვა ამ თანამშრომლობას?**

*ვალერი გორგოძე:* ასეთი თანამშრომლობა მართლაც არსებობს. მაგრამ იქაც, ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვებას სასამართლოს გადაწყვეტილება სჭირდება. ასე რომ, ჩვენი შვეიცარიელი კოლეგები მხოლოდ ჩვენი თხოვნის საფუძველზე ბანკიდან ინფორმაციას ვერ მოიპოვებენ. როგორც ვიცით, მათ უკვე მიმართეს სასამართლოს შესაბამისი თხოვნით, თუმც რა გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ, ჯერ უცნობია. აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოს საელჩოსთან შვეიცარიაში და ახალი ცნობების მოლოდინში ვართ.

**— რამდენ ხანში მიიღებს გადაწყვეტილებას შვეიცარიის სასამართლო?**

*ვალერი გორგოძე:* შვეიცარიის კანონმდებლობაში ღრმად ჩახედულები არ ვართ, მაგრამ ყველაფერი ეს საპროცედურო ნორმებსა და დროს მოითხოვს.

**— გამოდის, რომ გამოძიება ბევრადაა დამოკიდებული შვეიცარიიდან მოსაპოვებელ ინფორმაციაზე?**

*ზაზა ყულოშვილი:* ექსპერტიზა დანიშნულია აქტზე, რომელიც საგადასახადო ინსპექციამ შეადგინა. დაფიქსირებულია, რომ დამალულმა გადასახადმა შეადგინა დაახლოებით 6 000 000 ლარი და ექსპერტიზაც ამაზეა დანიშნული. თუ შვეიცარიიდან დამატებით კიდევ მივიღებთ რაიმე დოკუმენტებს, იმაზე ცალკე დაიწერება რევიზიის აქტი და გამოძიებაც ცალკე დაინიშნება.

**— „დინამოდან“ უცხოურ კლუბებში გადასული ფეხბურთელების ტრანსფერები რომ არ არის დაფიქსირებული, ამაზე რას გვეტყვით?**

*ვალერი გორგოძე:* ეს საქმე უმეტესწილად სწორედ ამ ტრანსფერებთანაა დაკავშირებული. საბუღალტრო დოკუმენტაციაც ძირითადად საზღვარგარეთ მოვიპოვეთ — მოგეხსენებათ, „დინამოს“ ფეხბურთელები გადავიდნენ კიევის „დინამოში“, „ალანიაში“ და სხვა გუნდებში.

**— მათ შორის დასავლეთევროპულ კლუბებშიც-**

*ვალერი გორგოძე:* „ფრაიბურგიდანაც“ მოვიპოვეთ ინფორმაცია, რომელიც აგრეთვე შედის იმ მასალებში, რომლებზე დაყრდნობითაც ჩატარდა რევიზია.

**— და თანხა 6 000 000-ზე მეტს არ აღწევს?**

*ვალერი გორგოძე:* აქ მხოლოდ გადასახადებზეა ლაპარაკი და არა ტრანსფერების ღირებულებაზე. ამ ექვსი მილიონიდან დაახლოებით 2 200 000 ის თანხაა, რაც თავის დროზე არ იქნა გადახდილი სახელმწიფო ბიუჯეტში, 6 000 000-მდე კი თანხა დაგვიანების სანქციებით, ჯარიმებითა და საურავებით ავიდა.

**— „დინამოს“ მაშინდელი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, რომ გაუჩინარებულია, საეჭვოდ არ მიგაჩნიათ ეს ფაქტი?**

*ვალერი გორგოძე:* არა. მე ამ ეტაპზე კანონით არ მქონდა იმის უფლება, რომ მერაბ ჟორდანიასთვის ქვეყნის დატოვება ამეკრძალა.

**— კახა კალაძის თბილისის „დინამოდან“ კიევის „დინამოში“ გახმაურებულ ტრანსფერზეც გკითხავთ. იქნებ სრულად გვამცნოთ ამ საქმის დეტალები და ისიც, თუ ერგება რაიმე თბილისის „დინამოს“ კალაძის კიევის „დინამოდან“ „მილანში“ ტრანსფერის შედეგად? სანამ თბილისის „დინამო“ ხელახალ რეგისტრაციას გაივლიდა, მერაბ ჟორდანიამ განაცხადა, რომ როგორც კი კლუბს ახალი პატრონი გამოუჩნდება, კალაძის კიევის „დინამოში“ ტრანსფერის პირობებს გამოვამზეურებო, მაგრამ...**

*ვალერი გორგოძე:* კახა კალაძის ეს ტრანსფერი აბსოლუტურად ბოლომდე არის შესწავლილი. სიცრუეა, თითქოს თბილისის „დინამოს“ 50 პროცენტი ეკუთვნოდა კალაძის კიევის „დინამო“ — „მილანის“ ტრანსფერიდან, ყოველ შემთხვევაში, ასეა ჩატარებული გამოძიებით. ამ გამოძიების შედეგად, ჩვენი დავალებით უკრაინის პროკურატურამ კიევის „დინამოს“ პრეზიდენტი გრიგორი სურკისიც კი დაკითხა, აგრეთვე ფინანსური დირექტორი სილკოვი. უკრაინულმა მხარემ წარმოადგინა ყველა ის დოკუმენტი, რომლის სინამდვილე და წარმოშობა არანაირ ეჭვს არ იწვევდა. რაც შეეხება ვაჟა ჟვანიას მიერ წარმოდგენილ კონტრაქტს, რის მიხედვითაც თუ კიევის „დინამო“ კალაძეს გაყიდდა, თანხის 50 პროცენტი „დინამოს“ ეკუთვნოდა, ამ კონტრაქტის წარმოშობა და სინამდვილე საეჭვო და გაურკვეველია. თანაც ჟვანიამ ქსეროასლი წარმოადგინა და არა დედანი. ქსეროასლზე აღბეჭდილ ხელმოწერებზე ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელია.

*ზაზა ყულოშვილი:* სანამ ჟვანია წარმოადგენდა ამ კონტრაქტს, სამი თვით ადრე ჩაველი კიევში და შევხვდი კიევის „დინამოს“ პრეზიდენტსა და ფინანსურ დირექტორს. მათი დაკითხვა ჩემი თანდასწრებით მოხდა და ამ კონტრაქტის დედანი პირადად მეც ვნახე, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ კალაძე თბილისის „დინამოდან“ კიევურში 300 000 დოლარად გაიყიდა. ზემოხსენებული 50 პროცენტი კი არსად ჩანდა. ერთადერთ პირობად ის იყო ჩადებული, რომ თუ კიევის „დინამო“ იმ სეზონში გავიდოდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდე, იმ შემთხვევაში უნდა გადაეხადა თბილისის „დინამოსთვის“ დამატებით 100 000 დოლარი.

**დავით თაბართქილაძე**



ისევ იქნებიან ერთად ვალერი ჩოლარია და მერაბ ჟორდანია?

# ჩოლარიას ჟორდანია არ აინტერესებს

*გუშინწინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პოლიციის მუშაკები იყვნენ და პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია მოიკითხეს. ის სამართალდამცავთ ადგილზე არ დახვდა. ადგილზე კი არა, უკვე თვენახევარია ფედერაციის პრეზიდენტი თბილისში არ იმყოფება. საქართველოს ნაკრებმა 6 ოქტომბერს ბუქარესტში რუმინელებთან რომ ითამაშა, პრეზიდენტმა გზა დასავლეთ ევროპისკენ გააგრძელა და დღემდე არ ჩამოსულა. გავრცელდა ჭორები, შესაძლოა, ჟორდანია თბილისს კარგა ხანს არც დაბრუნდესო.*

*ერთი სიტყვით, ფეხბურთის ფედერაცია 6 ოქტომბრის შემდეგ უპრეზიდენტოდ მუშაობს, თუმც არაა გამორიცხული, დირექტივებს ჟორდანიასგან ტელეფონით იღებდეს. აღმასკომის გუშინწინდელი სხდომაც ფედერაციამ უკვე სტუმრებითურთ უპრეზიდენტოდ ჩაატარა.*

*თავად იმ ფაქტის თაობაზე კი, რატომ მოიკითხა ჟორდანია პოლიციამ, ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ გვითხრა:*

— პოლიციელები ფედერაციაში არ მინახავს, თუმც ვიცი მათი აქ მოსვლის მიზეზი რა იყო — 28 მილიონი ლარი, რასაც იმ „დინამოს“ ედავებიან, რომელსაც მერაბ ჟორდანია ხელმძღვანელობდა. ამ საქმესთან დაკავშირებული სასამართლო, მოგეხსენებათ, ადრე იყო და ჟორდანია გამართლდა. ახლა კი იგივე საქმე დამატებით გამოძიებას დაუბრუნდა.

**— სად დაბრუნდა საქმე?**

— არ ვიცი და არც მაინტერესებს. ალბათ შინაგან საქმეთა სამინისტროში, რადგანაც ფედერაციაში პოლიციელები მოვიდნენ. სხვათა შორის, პოლიციიდან ფედერაციაში ადრეც იყვნენ და მაშინაც ჟორდანია იკითხეს. ეს ის პერიოდი იყო, როცა პრეზიდენტი მივლინებით ფიფაში გახლდათ. სწორედ მაშინ ფიფას პროგრამა „გოლით“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის 400 ათასი დოლარის გადმოცემის საკითხი უნდა განხილულიყო და, როგორც იცით, ფიფამ ეს თანხა გამოგვიყო კიდეც ნაკრებისთვის ბაზის ასაშენებლად. შემდეგ, როცა მერაბ ჟორდანიამ ფიფაში საქმეები მოილია, გვთხოვა, შვებულება გამიფორმეთო. კანონით მას შვებულება ეკუთვნოდა და ახლა ის შესაბამისი ბრძანებით შვებულებაშია.

**— რამდენი ხნით?**

— 24 დღით. შვებულება 8 ნოემბრიდან გაფორმდა, თუმც შესაძლოა, პრეზიდენტი შვებულების ვადის გასვლამდეც დაბრუნდეს. ზუსტად ვერ გეტყვით.

**— გუშინწინ რა მოითხოვეს პოლიციელებმა?**

— იკითხეს ჟორდანია და როცა გაიგეს, შვებულებაშიაო, საშვებულებო ბრძანებიდან ამონაწერი წაიღეს. ერთხაც გეტყვით, პრეზიდენტი პოლიციამ ორჯერ უკვე მოიკითხა. ადრე მივეცით იმის საბუთი, რომ ის მივლინებაშია, ახლა კი — შვებულებაში. კიდევ მოვლენ, კიდევ მიიღებენ სათანადო საბუთს.

**— სად არის ჟორდანია, ხომ არ იცით?**

— არ ვიცი და არც ის მაინტერესებს, ვისთან ერთად არის. კაცი შვებულებაშია და როგორც სურს, ამ დროს ისე გამოიყენებს. სურს, ტელეფონს მთლად გადააგდებს.

**— გუშინდელი აღმასკომის სხდომის შემდეგ რატომ არ თქვით, თუ ფედერაციაში ჟორდანიას პოლიციამ მოაკითხა?**

— რა მნიშვნელოვანი ეს იყო. ვიმეორებ, რაც მახსოვს, ეს უკვე პოლიციელთა მესამე ვიზიტია. გუშინ კი არ ვიცოდი, ფედერაციაში პოლიცია თუ გვესტუმრა და არც დავინტერესებულვარ ამ ფაქტით. საერთოდ, არსებობს უდანაშაულობის პრეზუმპცია და პიროვნების გამტყუნების უფლება მხოლოდ სასამართლოს აქვს. ამ 28 მილიონის საქმე კი, მგონი, სასამართლომ უკვე სამჯერ განიხილა, ჟორდანია სამჯერვე გამართლდა და ახლა საქმეს დამატებით იძიებენ.

**— შეგიძლიათ, თქვათ, როდის ჩამოვა მერაბ ჟორდანია?**

— არა, არ შემიძლია. ის შვებულებაშია და მისი ნებაა, როდის დაბრუნდება, ხვალ, ზეგ, თუ...

**კობა ინასარიძე**

# გუჯაბიძე გადადეს

**წესით** და რიგით გუშინ სადისციპლინო კომიტეტის სხდომა უნდა გამართულიყო, სადაც საბოლოო ვერდიქტი უნდა გამოეტანათ „მერანის“ მცველ გოჩა გუჯაბიძისთვის, მაგრამ საქმის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ერთი კვირით გადაიდო.

შეგახსენებთ, გუჯაბიძეს 27 ოქტომბერს „სიონი“ — „მერანის“ მატჩში მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფა ბრალდება და დებულებით თორმეტთვიან დისკვალიფიკაციას იმსახურებს. თუმც წინა სხდომაზე ამ საქმის გარკვევისას დისციპლინარები ჩიხში მოექცნენ, რადგან თავად ფეხბურთელი, არ აღიარებს დანაშაულს.

ჩაარტყა თუ არა არბიტრს გუჯაბიძემ, ამას ვერც იმ შეხვედრის მსაჯები ასაბუთებენ. ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტს მხოლოდ მატჩის კომისარი გია ძამუკაშვილი და ჟურნალისტები ადასტურებენ. ამ უკანასკნელთა აზრი სადისციპლინო სხდომისთვის განაჩენის მისაღებად საკმარისი არ არის, ძამუკაშვილთან კონსულტაციების შემდეგ კი დისციპლინარებმა გადაწყვეტილების მიღების დღედ გუშინდელი ოთხშაბათი დათქვეს, მაგრამ...

ამ დროს სრულიად საფუძვლიანია „მერანის“ ხელმძღვანელთა პრეტენზია. აი, რას ამბობს ავჭალური კლუბის ტექნიკური დირექტორი ანზორ მამალაძე: „იქნებ საერთოდ არ არის დამნაშავე გუჯაბიძე. საბოლოო ვერდიქტის დაგვიანების გამო მან უკვე ოთხი თამაში გამოტოვა, ამიტომ ჩვენთვის სასურველია, სადისციპლინო კომიტეტმა დროულად მიიღოს გადაწყვეტილება“.

ერთი სიტყვით, ნამდვილად უმჯობესი იყო, დისციპლინარები გუშინ შეკრებილიყვნენ. გუჯაბიძეს კი უკვე მეხუთე მატჩის გამოტოვებაც მოუწევს, რადგან „მერანი“ — „მეტალურგი“ მომავალ ოთხშაბათამდე ოთხი დღით ადრე ჩატარდება.

**ბაატა ძვანტალიანი**

**საქართველოს ჩემპიონატი 13**
**ჩემპიონული ლიგა**
**პირველი წრე**

აღმოსავლეთი

XI ტურის მატჩი. ოლიმპიკი — ვიტ ჯორჯია 2 2:1
XIV ტური. ცხუმი — კრწანისი 7:2; ჯავახი — მრეტები 3:3. დღეს: თბილისი — ჭაბუკიანი; მესხეთი — მერანი 3; აკადემია — მაუდი; ალაზანი — ლიახვი; გორდა 2 — მცხეთა; ვარძია — დინამო 3; ოლიმპიკი — ივერია; ვიტ ჯორჯია 2 — ზოოვეტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 13 | 11 | 1 | 1 | 33:7 | 34 |
| ალაზანი | 13 | 9 | 2 | 2 | 35:14 | 29 |
| ივერია | 13 | 9 | 2 | 2 | 35:16 | 29 |
| მაუდი | 13 | 9 | 2 | 2 | 19:7 | 29 |
| ზოოვეტი | 13 | 8 | 1 | 4 | 24:15 | 25 |
| ოლიმპიკი | 13 | 7 | 3 | 3 | 27:13 | 24 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 13 | 6 | 4 | 3 | 35:10 | 22 |
| ცხუმი | 14 | 6 | 3 | 5 | 27:18 | 21 |
| ჭაბუკიანი | 13 | 5 | 6 | 2 | 17:9 | 21 |
| ვარძია | 13 | 6 | 3 | 4 | 13:13 | 21 |
| აკადემია | 12 | 5 | 4 | 3 | 22:16 | 19 |
| ლიახვი | 12 | 5 | 1 | 6 | 18:23 | 16 |
| გორდა 2 | 13 | 4 | 3 | 6 | 21:19 | 15 |
| მესხეთი | 13 | 4 | 1 | 8 | 13:24 | 13 |
| თბილისი | 13 | 3 | 2 | 8 | 18:30 | 11 |
| კრწანისი | 14 | 3 | 2 | 9 | 15:35 | 11 |
| დინამო 3 | 13 | 2 | 4 | 7 | 17:28 | 10 |
| მერანი 3 | 13 | 3 | 1 | 9 | 12:34 | 10 |
| მრეტები | 14 | 1 | 4 | 9 | 21:32 | 7 |
| ჯავახი | 14 | 0 | 1 | 13 | 12:71 | 1 |

დასავლეთი

XVI ტური. საპოვნელა — ჩიხურა 5:0; სქური — ლუკა 2:2; კოლხეთი 2 — მაღაროელი 0:1; ინტერი — გზები 1:0; ბათუმი 2 — ეგრისი 1:0; მერცხალი — ოკრიბა 3:1; სოხუმი — ზუგდიდი 4:5; სამეგრელო — მეტალურგი 2 და სულორი — გურია 2 გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 15 | 13 | 2 | 0 | 39:10 | 41 |
| საპოვნელა | 16 | 11 | 3 | 2 | 52:16 | 36 |
| სულორი | 15 | 12 | 0 | 3 | 41:18 | 36 |
| ზუგდიდი | 15 | 11 | 2 | 2 | 31:13 | 35 |
| გურია 2 | 15 | 10 | 3 | 2 | 43:14 | 33 |
| კოლხეთი 2 | 16 | 8 | 5 | 3 | 26:13 | 29 |
| მაღაროელი | 16 | 9 | 1 | 6 | 33:24 | 28 |
| სალხინო | 15 | 9 | 0 | 6 | 23:22 | 27 |
| ინტერი | 15 | 8 | 1 | 6 | 20:15 | 25 |
| მეტალურგი 2 | 15 | 6 | 3 | 6 | 21:22 | 21 |
| საირმე | 15 | 6 | 2 | 7 | 15:15 | 20 |
| სქური | 15 | 6 | 2 | 7 | 22:29 | 20 |
| ეგრისი | 15 | 6 | 1 | 8 | 21:24 | 19 |
| გზები | 16 | 5 | 1 | 10 | 16:26 | 16 |
| ბათუმი 2 | 16 | 4 | 2 | 10 | 11:27 | 14 |
| სამეგრელო | 15 | 3 | 2 | 10 | 20:36 | 11 |
| სოხუმი | 16 | 2 | 4 | 10 | 19:36 | 10 |
| ჩიხურა | 16 | 3 | 1 | 12 | 13:43 | 10 |
| ლუკა | 16 | 3 | 1 | 12 | 16:49 | 10 |
| ოკრიბა | 15 | 1 | 0 | 14 | 7:37 | 3 |



ზურაბ ფირცხალაიშვილის ფოტო

გელა გომელაური

# ცხრამეტწლამდელები ინგლისში სირცხვილი და უნგრეთი ჭამეს

## გომელაური მიდის და მოდი აღარ უნდა

**მოგეხსენებათ**, ამას წინათ ინგლისში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის საგაისო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში იასპარეზა. ქართველმა ჭაბუკებმა ჯერ მასპინძლებთან ითამაშეს და მიუხედავად დაწინაურებისა, დიდი ანგარიშით — 1:4 წააგეს. შემდეგ გელა გომელაურის შეგირდები უნგრელ თანატოლებს დაუპირისპირდნენ და ფრეს გამორჩნენ. უნგრელთა მეათე წუთზე გატანილს მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ებანოიძემ უპასუხა. შედეგად საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფის მიღმა დარჩა.

თითქოს ესეც კმარა, მაგრამ... ჩვენმა ინგლისელმა კოლეგებმა საქართველოს ამ ნაკრებს მეტისმეტად უსუსური უწოდეს და ის ერთი ბურთიც, რომელიც ქართველებმა მასპინძლებს გაუტანეს, შემთხვევითობად ჩათვალეს. ამ აზრს ინგლისში მცხოვრები ქართველებიც იზიარებენ, რომლებიც „სქაისპორტზე“ პირდაპირი ტელერეპორტაჟის ნახვის შემდეგვე რედაქციაში დაგვიკავშირდნენ და თანამემამულეთა უხეირო თამაშის გამო გულისტკივილი გაგვიზიარეს.

სამაგიეროდ, სრულიად საპირისპიროს ამბობს 19-წლამდელთა მწვრთნელი გელა გომელაური, რომელმაც გუშინწინ „სარბიელთან“ ინტერვიუ იუარა, წუხელ კი კითხვას — რჩებით თუ არა ნაკრების მწვრთნელად — საკმაოდ ვრცელი პასუხი მოაყოლა:

— ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2001 წლის დეკემბრამდე მაქვს. ასე რომ, თავისთავად, მომავალი წლიდან ნაკრების მწვრთნელობიდან გავთავისუფლდები. თუ ახალი კონტრაქტი შემომთავაზეს, ალბათ არ დავთანხმდები. ამის უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ 19-წლამდელთა შეკრება მხოლოდ ეროვნული ნაკრების კალენდრის შესაბამისადაა შესაძლებელი. ეს და სხვა პირობები კი, ფედერაცია აქამდე რომ გვიქმნიდა, სათანადოდ მოსამზადებლად საკმარისი არ არის.

შესარჩევ მატჩებამდე ნაკრებმა ირანში ითამაშა, ქუთაისში აზერბაიჯანს უმასპინძლა და ინგლისში გამგზავრებამდე ორი კვირით ადრე შეიკრიბა. აი, სულ ეს იყო. ეს ორი კვირაც სრული შემადგენლობით არ ვყოფილვართ, კლუბებიდან გვირეკავდნენ და გვთხოვდნენ, მათი ფეხბურთელები ეროვნული ჩემპიონატის მატჩისთვის გაგვეთავისუფლებინა. რა უნდა მოგვეხერხებინა ასეთ პირობებში? ნაკრებმა კიდევ კარგად ითამაშა და უნგრეთის ძლიერ გუნდთან 0:4 ან 1:4 რომ არ წავაგეთ, ეს ჩვენი დამსახურებაა. მე და ჩემმა თანაშემწემ ჩვენი საქმისა კარგად ვიცოდით და ფეხბურთელებმაც ძალა და ენერგია არ დაზოგეს. უნგრეთი მეორე ტაიმში „შევჭამეთ“ და მათ წარმომადგენლებს ვათქმევინეთ, უგარგისი გუნდი გვყავსო. ინგლისში ჩასვლისთანავე ჩვენს კურატორს ვთხოვეთ, ყოველდღიურად გაზეთებით მოვემარაგებინეთ. დავალებას პატიოსნად ასრულებდა, მაგრამ მასპინძლებთან მატჩის შემდეგ ვერსად ამოვიკითხეთ, ქართველებმა უსუსურად ითამაშესო, ისინი ამ შესარჩევ მატჩებს თითქმის უყურადღებოდ ტოვებდნენ და მხოლოდ ანგარიშებს აქვეყნებდნენ. ისე კი, ინგლისთან მართლა კარგად ვითამაშეთ და სამწუხაროა, რეალური მომენტები რომ ვერ გამოვიყენეთ.

ჩვენ ქვეყნის სამსახურში ვართ და ჯობს, მკითხველამდე ობიექტური ინფორმაცია მივიდეს — ასეთი იყო გომელაურის პასუხი, რომლის გაწვრთნილი ნაკრები ოფიციალურ-ამხანაგურ მატჩებში აზერბაიჯანთან ერთადერთი მოგებით თუ დაიკვეხნის.

**კობა ინასარიძე**

# ანჩელოტი კალაძეს ლობანოვსკის ენაზეც ელაპარაკება

**„მილანმა“** მწვრთნელი შეცვალა — თურქი ფატიჰ თერიმი მოხსნეს და მის ადგილზე კარლო ანჩელოტი დანიშნეს... ამ ინფორმაციამ თბილისში იტალიური გრანდისა და კახა კალაძის ქომაგები ძალიან გაახარა — ამიერიდან „მილანი“ ცოტას წააგებს და ჩვენებურსაც ძირითადში ადგილი გარანტირებული ექნებაო.

თუ ანჩელოტის მიერ გაწვრთნილი გუნდების შედეგებს, სათამაშო სტილს გაიხსენებთ, მაშინ „მილანის“ ქართველი გულშემატკივრების წარმოდგენილი ორივე ვერსია სარწმუნოდ მოგეჩვენებათ, თუმც ისიც სათქმელია, რომ „მილანი“ ის გუნდია, სადაც ძირითადში ადგილი კაპიტან პაოლო მალდინისაც არა აქვს დაჯავშნული.

მივიდა ანჩელოტი „მილანელოში“, გაეცნო გუნდს, ჩაატარა ვარჯიში ერთი, მეორე... გუშინწინ კი სათასო მატჩში „პერუჯას“ წინაალმდეგ პირველად დადგა „მილანის“ მესაჭის ადგილზე. ახალდანიშნულმა მწვრთნელმა წარმატებული დებიუტი მოიწყო, კალაძემ 90 წუთი დაჰყო მოედანზე.

გუშინ „მილანის“ ქართველი ლეგიონერი ქომაგების განკარგულებაში იყო და საკუთარი ოფიციალური ვებ-გვერდიდან დაინტერესებულებს პირველ შთაბეჭდილებებს უზიარებდა.

„...ახალი მწვრთნელის მოლოდინი ფეხბურთელებში მუდამ იწვევს გარკვეულ დაძაბულობას და ნერვიულობას. ამასთანავე თითოეული ცდილობს, პირველივე ვარჯიშზე მაქსიმუმი გაიღოს. თერიმის მწვრთნელობისას ყველაფერი სხვაგვარად, გაცილებით რთულად იყო. ანჩელოტისთან კი პირველივე ვარჯიშზე რაღაც თავისუფლება ვიგრძენით. მასთან არ მოიწყენ, ანჩელოტის ძალუძს, გუნდში სასიამოვნო ატმოსფეროს შექმნა. „მილანის“ ახალი თავკაცი კომუნიკაბელურია, არ უჭირს მოთამაშეებთან კონტაქტის დამყარება და ურთიერთობა. ამასთანავე ფეხბურთელი მუდამ გრძნობ იმ დისტანციას, რომელიც მწვრთნელსა და მოთამაშეს შორის უნდა არსებობდეს.

მას დიდი ფეხბურთი უთამაშია და ჩვენს თითოეულ მოძრაობას, თითოეულ საფეხბურთო შტრიხს წამიერად აფიქსირებს. ამის შემდეგ ურთიერთგაგებაც თავისთავად მოდის და ეს გრძნობა არც გშორდება.

რაც შეეხება ანჩელოტის სტრატეგიას, მწვრთნელი თითოეული ჩვენგანისგან უნივერსალიზმს მოითხოვს. მისი საფეხბურთო ფილოსოფია — ყველა დაცვაში, ყველა შეტევაზე — ჩემთვის ძალიან ნაცნობი და მისაღებია. ასე კიევის „დინამოში“ ვმოქმედებდი და, სხვათა შორის, ანჩელოტიმაც რამდენჯერმე ახსენა ლობანოვსკი და „დინამო“. დიდი ყურადღება ეთმობა დაცვაში უშეცდომო თამაშს. მწვრთნელი ამას არა მარტო უკანახაზელებისგან, არამედ თავდამსხმეებისგანაც მოითხოვს.

„პერუჯასთან“ მატჩი ზემოთ ნახსენები პრინციპების გამარჯვება იყო. მართალია, დასაწყისში ცოტას ვნერვიულობდით, რადგანაც არ გვქონდა უფლება, მწვრთნელისთვის დებიუტი ჩაგვეშწარებინა, მაგრამ მერე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. „მილანმა“ საკუთარი საჯარიმოს მისადგომები საიმედოდ გადაკეტა და შემდეგ მეტოქე მისსავე ნახევარზე შეავიწროვა. „პერუჯას“ ჩვენი თამაში თავს მოვახვიეთ, ინძაგის დუბლის შემდეგ კი გამარჯვებულის ვინაობა ეჭვსაც აღარ იწვევდა“.



ზურაბ ფირცხალაიშვილის ფოტო

კახა კალაძე კარლო ანჩელოტის ტაქტიკასაც უნდა მოერგოს

რახან შეუცვლელად ათამაშა, ალბათ, ანჩელოტის თვალში მოსდის სეხნია ქართველი. ჩვენებურსაც ეტყობა მოსწონს ახალი თავკაცი. მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „მილანში“ ანჩელოტის ზეობისას კახა კალაძე ძალიან ხშირად იქნება ძირითადში...

**გამუკა კვანტალიანი**

## საქართველოს თასი

**მერვედფინალი. საპასუხო მატჩები**

ზესტაფონი. ცენტრალური. 14 ნოემბერი. 14.00 საათი

**მეტალურგი 2:1 თსუ**

პირველი მატჩი 0:3

0:1 ე. მერებაშვილი (19), 1:1 ქურციკიძე (50), 2:1 კუპრეიშვილი (60ს.კ.)

გაფრთხილება: ლობჟანიძე, ჯოჯუა, მერებაშვილი (თსუ); გოგაძე (მეტალურგი)

მსაჯები: ი. კახიანი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ზ. მალალურაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ქველი ანაგაი. ცენტრალური. 21 ნოემბერი. 14.00 საათი

**მილანი — გურია**

პირველი მატჩი 0:1

რესტორანი მზიანი ღამე





განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74
მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

# ვითარება კატასტრო-ფულია!

## ვაი, ია

### პოლიციელები და პრეზიდენტები: სად მიდის მილიონები?

**ფინანსურმა** კრიზისმა ფლორენციის „ფიორენტინა-ში" პიკს უწია. ამის გამო, კლუბის მოთამაშეთა და იტალიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელთა შეხვედრაც შედგა. ფედერაციის პრეზიდენტმა ჯანი გრაციოლიმ განაცხადა, რომ „ფიორენტინას" ფეხბურთელთა მდგომარეობით აღშფოთებული და უაღრესად შეწუხებულია. გამორიცხული არაა, უხელფასოდ დარჩენილმა მოთამაშეებმა უზენაეს სასამართლოსაც მიაკითხონ. მათი უკანასკნელი იმედი ერთ-ერთი იტალიური ბანკი იყო, მაგრამ ბოლო მომენტში კლუბს კრედიტზე უარი ეთქვა. ასეთმა ვითარებამ ფეხბურთელთა მოთმინების ფიალა აავსო, აგერ უკვე ოთხი თვეა, კაპიკი არ აუღიათ. გუნდის კაპიტანმა ანჯელო დი ლივიომ, პინო ტალიატელამ და პაოლო ვანოლიმ კატეგორიულად განაცხადეს: „ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგვიწევს. ჯერჯერობით კლუბის აქციონერთა კრების ჩატარებას ველით, მერე კი აღმასრულებელ დირექტორს, ლუჩანო ლუნას შევხვდებით. აქამდე თავს ვიკავებდით, მაგრამ იძულებულნი ვართ, სასამართლოს მივმართოთ, რათა კლუბი გაკოტრებულად გამოცხადდეს. ამისთვის ყველანაირი დოკუმენტაცია მზად არის და ეს ყველაფერი მხოლოდ „ფიორენტინას" საკეთილდღეოდ კეთდება. ამჟამად ოთხი თვის დავალიანების მთლიანად დაფარვას მოვითხოვთ. იმედი გვაქვს, გულშემატკივრები გაგვიგებენ და მხარსაც დაგვიჭერენ".

სანამ ესენი მოქმედების გეგმას ადგენდნენ, იტალიელმა პოლიციელებმა რომში, საკუთარ სახლში, „იების" მეპატრონე, ვიტორიო ჩეკი გორი დაკითხეს. აინტერესებდათ, სად წავიდა 33 მილიონი დოლარი, რომელიც „ფიორენტინას" ანგარიშიდან ჩეკი გორის ერთერთი კომპანიის ანგარიშზე გადაირიცხა.



ვიტორიო ჩეკი გორი

**ვაჟა ხუციშვილი**

## სეკვესტრი გადაარჩენს ფეხბურთს

**თუ სასწრაფოდ** რამე არ იღონეს, რომის „ლაციო" და ეგებ ერთი-ორი სხვაც „ფიორენტინას" დღეში ჩავარდეს.

დეფიციტური ბიუჯეტების ერთ-ერთი მიზეზი მატჩებზე მაყურებელთა დასწრების კლებაა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სტატისტიკური კვლევის ცენტრის მონაცემებით, წინა სეზონში სერია A-ს მხოლოდ ორ კლუბს შეემატა მაყურებელი — „რომას" და „უდინეზეს". სხვათა თამაშის ყურების მსურველთა რიცხვი კი კატასტროფულად კლებულობს.

თუმც კლუბთა ვალებში ჩავარდნის მთავარი მიზეზი ფეხბურთელთა ხელფასების ისტერიული ზრდაა.

თავში „ლაციო" ვახსენეთ. რომაელთა სახელფასო ფონდი ამჟამად წელიწადში 95,38 მილიონ დოლარს შეადგენს, ხოლო სექტემბერის მონაცემებით კრედიტორებისადმი დავალიანებაც ამდენი აქვს. „ლაციოს" კიდევ გაუმართლა, რაკი ივნისში მისი ვალი 116,27 მილიონს შეადგენდა.

ვალი კი შეუმცირდა, მაგრამ სახელფასო პოლიტიკის შეუცვლელად უდეფიციტო ბიუჯეტის შენარჩუნება წარმოუდგენელია და ეს პრობლემა მხოლოდ „ლაციოს" არ აწუხებს. ვითარება იმდენად საგანგაშოა, რომ იტალიის საფეხბურთო ლიგა დეკემბერში სერია A-სა და B-ს კლუბების ხელმძღვანელთა შეკრებას გეგმავს, რომელზეც ეს პრობლემა უნდა გადაიჭრას.

არსებობს ორი ვარიანტი: ან განისაზღვრება გარკვეული პროცენტი, რომელიც კლუბების მთლიან სახელფასო ფონდს მოაკლდება, ანაც ყველა კლუბს დაუწესდება სახელფასო ფონდის ერთნაირი ზედა ზღვარი.

ისევ „ლაციოს" მივუბრუნდეთ. კლუბი დეკემბრის თათბირს არ დაელოდა და უკვე ახლა გადაწყვიტა, რომ მომავალი სეზონიდან ფეხბურთელთა ხელფასებზე 30 პროცენტით ნაკლებს დახარჯავს, ხოლო პირველი გუნდის მოთამაშეთა რაოდენობას ოცდახუთამდე შეამცირებს. შესაბამისად, ხელფასებისთვის წელიწადში 68 მილიონ დოლარზე მეტი აღარ დაეხარჯება.

„თუ გვსურს, რომ იტალიური და ევროპული ფეხბურთის ელიტაში დავრჩეთ, ასეთი ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია — თქვა „ლაციოს" პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ — მით უმეტეს, რომ ჩრდილოეთ იტალიის კლუბებიც, რომლებიც ჩვენზე მდიდრები არიან, ამავე აზრს იზიარებენ".

**გიორგი დარჯანია**

## პედაგოგიური სიტუაცია: ძალიან ნიჭიერი და უზრდელი

### კასანოს კორეა-იაპონიამდე ერთი ბოდიშიღა აშორებს

**ევროპის** ახალგაზრდული ჩემპიონატის პლეი ოფის პირველ მატჩში იტალიამ პოლონეთს 5:2 მოუგო და ძალიანაც კარგი ქნა, თორემ რომ წაეგო, ზოგიერთები იტყოდნენ, კლაუდიო ჯენტილემ ანტონიო კასანო არ ათამაშა და იმიტომაც დამარცხდაო. ეს ის კასანოა, რომელზეც ფაბიო კაპელომ თქვა, იტალიური ფეხბურთის იმედია და მისთანები უძვირფასესი აღმოჩენები არიანო. ვინ ვინ და, კაპელომ ფეხბურთელების შეფასება იცის, მით უმეტეს, მისსავე გუნდში მოთამაშეთა.

ჯენტილემ კი კასანო მაინც არ მიიწვია, უფრო სწორად, მიიწვია და მერე შეკრებიდან გააგდო. მიზეზი: „ეთიკის ნორმების სრული უცოდინარობა". ეს ჯენტილეს სიტყვებია. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, კასანო უზრდელი ყოფილა.

ბოლო ინციდენტის მერე ძველი შემთხვევებიც გამოაშკარავდა. ადრე ჯენტილემ ორჯერ დაითხოვა კასანო შეკრებიდან, ოღონდ მაშინ ამბობდა, ბიჭს გრიპი შეეყარაო, ახლა კი აღიარა, წინა შემთხვევებშიც გაგდების მიზეზი მისი უზრდელობა იყოო.

ასევე გაირკვა, რომ „ბარიში" თამაშისას კასანო ამავე მიზეზით ეუჯენიო ფაკეტისაც გაუგდია, მოგვიანებით კი დაუბრუნებია. ფეხბურთელს ფაბიო კაპელოსთანაც მოსვლია უსიამოვნება. რაც შეეხება ბოლო ინციდენტს, კასანომ განაცხადა, ფეხებზე მკიდია, ახალგაზრდულ ნაკრებში ვიქნები თუ არა, აი, ეროვნულ გუნდში მიწვევა კი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავსო.

ეროვნული გუნდის მწვრთნელი, მოგეხსენებათ, მხცოვანი ჯოვანი ტრაპატონია, რომელიც კასანოს ამ განცხადებას „გაძეტა დელო სპორტის" ფურცლებიდან გამოეხმაურა: „კასანოს მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების დიდი შანსი აქვს, ოღონდ იქამდე ჯენტილეს უნდა შეურიგდეს, ბოდიში მოუხადოს. თუ ჭკვიანად მოიქცევა, დიდ ფეხბურთს ითამაშებს".

შერიგებაზე ლაპარაკობს ფაბიო კაპელოც, ოღონდ ტრაპატონისგან განსხვავებით ის უფრო მიმტევებელია: „კასანო მხოლოდ 19 წლისაა, მის ასაკში კი ბიჭები მოუზომავ სიტყვებს ამბობენ. ვფიქრობ, მას ბოდიშის მოხდა მართებს, ჯენტილემ კი უნდა აპატიოს".

სხვათა შორის, კლაუდიო ჯენტილე რამდენადაც უხეშ ფეხბურთელად იყო ცნობილი, ცხოვრებაში იმდენად ზრდილობიანი და ყურადღებიანი კაცია (ამაში მისი თბილისში ყოფნის დროსაც დავრწმუნდით), ეს კი გვაფიქრებინებს, რომ კასანოს კორეა-იაპონიამდე ერთი ბოდიშიღა აშორებს.

საინტერესოა, რომ კასანომ ამქვეყნად მოვლენა მაშინ ინება, როცა დედამისი ტელევიზორით ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს უყურებდა, რომელშიც იტალიამ 3:1 მოუგო გერმანიას. ეს ამბავი, შეგახსენებთ, 1982 წლის 12 ივლისს მოხდა. დედამისს ურჩევდნენ, ბავშვს აუცილებლად პაოლო უნდა დაარქვა როსის პატივსაცემადაო, მაგრამ დედა კასანომ წმინდა ანტონიო პადოველის სახელი ამჯობინა.

**გიორგი დარჯანია**






კლაუდიო ჯენტილე ანტონიო კასანოს ათასად აფასებს, ზრდილობას ათიათასად



ჩეზარე პაპამ შვილიშვილს საამიროებიდან, ალბათ, ბევრი საჩუქარი ჩაუტანა

## იყო არაბეთს მალდინი

### მოხუცი იტალიელის სიბრძნე: მაკარონი უდაბნოშიც მაკარონია, ფული კი...

**საამიროების** ნაკრების ორმა მარცხმა ირანელებთან, არაბი შეიხი საიდ ბინ ზაედი ღრმად ჩააფიქრა. იგი თავის ხალიჩაზე მოკალათდა, ოქრობეჭდიანი თითები მუხლებზე აათამაშა და... ჩეზარე მალდინი გაახსენდა.

საიდ ბინ ზაედი და ჩეზარე მალდინი ბავშვობის მეგობრები ნამდვილად არ არიან. უბრალოდ, არაბ შეიხს ძალიან უნდა, რომ მისი ქვეყნის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშოს. თანამდებობითაც ევალება, იქაური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გახლავთ. მხოლოდ ფულში რომ იყოს საქმე, მას საამისოდ დაახლოებით იმდენი ფული აქვს, რამდენიც ქვიშაა უდაბნოში. მაგრამ მუნდიალზე ნაკრების გასაყვანად კარგი მწვრთნელიც საჭიროა. იფიქრა შეიხმა, ჩეზარე მალდინიზე ჭკვიან და გამოცდილ კაცს სადღა ვნახავო და დაპატიჟა საამიროებში.

ამ საქმეში მაჭანკალი ვინმე ქარიმ მრაბეტია, რომელმაც განაცხადა: „ყველაფერი შესაძლებელია. ჩეზარე მალდინისთან მოლაპარაკება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, ხოლო შედეგებს მოგვიანებით შევიტყობთ. კონტრაქტის ხელმოწერის ალბათობა საკმაოდ მაღალია. თუ ეს მოხდა, იტალიელი სპეციალისტი ნაკრებს მომავალი წლის აგვისტოდან ჩაუდგება სათავეში, ხოლო კონტრაქტი ორწლიანი იქნება".

ჩეზარე მალდინიმ და შეიხმა საიდ ბინ ზაედმა დიდხანს იჭუკჭუკეს, ნაკრების თავკაცის მოვალეობას კი ჯერჯერობით ჰოლანდიელი ჯო ბონფრერე ასრულებს, რომლის კონტრაქტის ვადაც მალე იწურება. შეგახსენებთ, რომ შარშან იტალიელს საუდის არაბეთიდანაც ჰქონდა მიწვევა, მაგრამ იუარა. როგორც ჩანს, უფროს მალდინის იმედი ჰქონდა, ფატიჰ თერიმის გათავისუფლების შემთხვევაში ისევ „მილანის" მწვრთნელად დამნიშნავენო, მაგრამ აქ კარლო ანჩელოტი ჩაერია საქმეში. ჰოდა, ნახა რა, რომ მისი ადგილი "სან სიროზე" აღარ იყო, დუბაიში გაემგზავრა. ცდუნება, რაღა თქმა უნდა, საკმაოდ დიდია, იტალიელმა სპეციალისტმა, გაისად, 5 თებერვალს 70 წელი რომ უსრულდება, მშვენივრად იცის, რომ მას წარმატების შემთხვევაში გვარიანად „დაასაჩუქრებენ". მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, გაატარებს თუ არა ორ წელიწადს არაბთა გაერთიანებულ საამიროებში.

ახლა მალდინი უკვე სამშობლოშია და დუბაიდან სატელეფონო ზარს ელოდება. „ჯერ ნაადრევია იმაზე ლაპარაკი, ვიქნები თუ არა საამიროების ნაკრების მწვრთნელი. ჩემთვის არც ისე ადვილია არჩევანის გაკეთება. ვნახოთ, ამ საქმიდან რა გამოვა. ერთადერთი რაც დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ მათ ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს" — ბრძანა იტალიელმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ინგლისი. პრემიერლიგა. 2001-02. XIII ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | ს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.11.01 | 16.00 | 041 | 2:1საუთჰემპტონი; ლესტერი0:0; 3:3არსენალი ბლეკბერნი V ლივერპული მანჩესტერი3:1; 2:0ჩარლტონი; 4:1ლესტერი | 3,3 | 3,0 | 2,1 | | | | - | - | | 0:2 1:3 |
| 17.11.01 | 19.00 | 042 | 0:3ნიუკასლი; ბოლტონი3:2; ჩარლტონი1:0 ასტონ ვილა V მიდლსბრო დერბი5:1; 1:2ტოტენჰემი; სანდერლენდი2:0 | 1,55 | 3,4 | 5,6 | | | | - | 1:1 1:3 | 1:0 4:0 | 3:3 0:0 |
| 17.11.01 | 19.00 | 043 | 1:5მიდლსბრო; ჩელსი1:1; ჩარლტონი1:1 დერბი V საუთჰემპტონი ბლეკბერნი1:2; 1:2ფულემი; იფსვიჩი3:3 | 2,1 | 3,1 | 3,2 | | | | - | 2:2 0:1 | 3:3 2:0 | 1:0 0:0 |
| 17.11.01 | 19.00 | 044 | 2:0ვესტ ჰემი; საუთჰემპტონი2:1; იფსვიჩი1:1 ფულემი V ნიუკასლი ასტონ ვილა3:0; 3:1ევერტონი; ტოტენჰემი0:2 | 2,3 | 3,0 | 2,9 | | | | - | - | | |
| 17.11.01 | 19.00 | 045 | 1:3ლივერპული; ლიდსი1:1; ბოლტონი1:2 მანჩესტერი V ლესტერი სანდერლენდი1:0; 0:0ბლეკბერნი; ლივერპული1:4 | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1,5 | 3,5 | 3,5 | - | 3:0 2:0 | 2:0 2:0 | 2:2 6:2 |
| 17.11.01 | 19.00 | 047 | 1:2ლიდსი; მიდლსბრო2:1; 2:0ნიუკასლი ტოტენჰემი V არსენალი ჩარლტონი2:4; 1:1სანდერლენდი; ბლეკბერნი3:3 | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | - | 1:1 0:2 | 2:1 1:2 | 0:0 1:3 |
| 18.11.01 | 18.00 | 048 | 2:2ბოლტონი; ნიუკასლი1:3; ასტონ ვილა3:2 ევერტონი V ჩელსი იფსვიჩი2:1; 1:1დერბი; 1:2ვესტ ჰემი | 2,7 | 3,0 | 2,4 | | | | - | 2:1 1:2 | 1:1 1:1 | 0:0 1:3 |
| 18.11.01 | 19.00 | 049 | 0:1ლესტერი; არსენალი1:1; 0:2მიდლსბრო სანდერლენდი V ლიდსი ტოტენჰემი2:1; 1:1მანჩესტერი; ჩელსი0:0 | 3,4 | 3,1 | 2,0 | | | | - | 0:2 0:2 | 1:2 1:2 | - |
| 18.11.01 | 20.00 | 050 | 1:2ჩელსი; ვესტ ჰემი2:3; 3:3საუთჰემპტონი იფსვიჩი V ბოლტონი ევერტონი2:2; 2:3ასტონ ვილა; 2:1მანჩესტერი | 2,1 | 3,1 | 3,0 | | | | - | - | - | - |
| 19.11.01 | 24.00 | 051 | 4:2არსენალი; ლივერპული0:2; 0:1ასტონ ვილა ჩარლტონი V ვესტ ჰემი ფულემი0:2; 3:2იფსვიჩი; ჩელსი2:1 | 2,3 | 3,0 | 2,9 | | | | - | 0:5 1:1 | - | 4:2 1:0 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლიდს იუნაიტედი (4) | | 02.02 | 24.11 | 22.12 | 19.01 | 30.03 | 0:0 | 16.03 | 2:1 | 0:0 | | 20.04 | 11.05 | 01.01 | 23.02 | 06.04 | 15.12 | 05.03 | 2:0 | 3:0 | 11 | 6 | 5 | 0 | 15:5 | 23 | 3 | 2 | 0 | 7:1 | 11 | 3 | 3 | 0 | 8:4 | 12 |
| 2 | ლივერპული (3) | 1:1 | | 1:3 | 05.03 | 22.12 | 3:1 | 23.03 | 06.04 | 1:0 | 01.01 | 23.02 | | 08.12 | 2:1 | 30.03 | 24.11 | 30.01 | 11.05 | 19.01 | 20.04 | 10 | 7 | 1 | 2 | 20:10 | 22 | 3 | 1 | 1 | 8:6 | 10 | 4 | 0 | 1 | 12:4 | 12 |
| 3 | ასტონ ვილა ბირმინგემი (8) | 13.04 | 26.12 | | 01.04 | 16.03 | 1:1 | 09.02 | 2:0 | 29.12 | 3:2 | 30.01 | 2:0 | : | 02.03 | 1:0 | 0:0 | 01.12 | 15.12 | 27.04 | 12.01 | 11 | 6 | 3 | 2 | 17:11 | 21 | 4 | 2 | 0 | 9:3 | 14 | 2 | 1 | 2 | 8:8 | 7 |
| 4 | ნიუკასლ იუნაიტედი (11) | 12.01 | 0:2 | 3:0 | | 02.03 | 4:3 | 29.12 | 15.12 | 0:2 | 02.02 | 30.03 | 06.04 | 26.12 | 27.04 | 20.04 | 1:1 | 1:0 | 16.03 | 09.02 | 24.11 | 11 | 6 | 2 | 3 | 21:14 | 20 | 3 | 1 | 2 | 9:8 | 10 | 3 | 1 | 1 | 12:6 | 10 |
| 5 | არსენალი ლონდონი (2) | 1:2 | 12.01 | 08.12 | | | 24.11 | 26.12 | 3:3 | 06.04 | 1:1 | 11.05 | 23.02 | 29.12 | 23.03 | 2:4 | 30.03 | 4:0 | 20.04 | 02.02 | 05.03 | 11 | 5 | 4 | 2 | 24:13 | 19 | 1 | 2 | 2 | 11:10 | 5 | 4 | 2 | 0 | 13:3 | 14 |
| 6 | მანჩესტერ იუნაიტედი (1) | 1:1 | 01.04 | 23.02 | 01.01 | 13.04 | | 01.12 | 19.01 | 05.03 | 1:2 | 4:1 | 3:2 | 23.03 | 08.12 | 11.05 | 02.02 | : | 4:0 | 22.12 | | 11 | 5 | 3 | 3 | 28:20 | 18 | 3 | 1 | 1 | 13:6 | 10 | 2 | 2 | 2 | 15:14 | 8 |
| 7 | ჩელსი ლონდონი (6) | 30.01 | 15.12 | 11.05 | 1:1 | 1:1 | 20.04 | | 24.11 | 23.02 | 22.12 | 06.04 | 05.03 | 2:2 | 19.01 | | 16.03 | 2:0 | 2:1 | 01.01 | 30.03 | 11 | 4 | 6 | 1 | 16:11 | 18 | 2 | 3 | 0 | 8:5 | 9 | 2 | 3 | 1 | 8:6 | 9 |
| 8 | ბლეკბერნ როვერსი (დ) | 08.12 | : | 05.03 | 23.03 | 30.01 | 2:2 | 13.04 | | 2:1 | 1:1 | 1:0 | 11.05 | 01.12 | 7:1 | 12.01 | 26.12 | 0:0 | 23.02 | 01.04 | 29.12 | 12 | 4 | 5 | 3 | 20:15 | 17 | 3 | 3 | 0 | 13:5 | 12 | 1 | 2 | 3 | 7:10 | 5 |
| 9 | ტოტენჰემ ჰოტსპური ლონდონი (12) | 01.04 | 27.04 | 0:0 | 30.01 | : | 3:5 | 2:3 | 01.01 | | 01.12 | 19.01 | 15.12 | 2:1 | 13.04 | 16.03 | 02.03 | 09.02 | 22.12 | 2:0 | 3:1 | 12 | 5 | 2 | 5 | 19:17 | 17 | 3 | 1 | 2 | 12:10 | 10 | 2 | 1 | 3 | 7:7 | 7 |
| 10 | ბოლტონ უონდერერსი (დ) | 26.12 | 2:1 | 30.03 | 0:4 | 27.04 | 29.01 | 12.01 | 02.03 | 20.04 | | 2:2 | 24.11 | 1:0 | 09.02 | 15.12 | 0:2 | 29.12 | 06.04 | 0:1 | 16.03 | 12 | 4 | 4 | 4 | 16:16 | 16 | 2 | 1 | 3 | 5:10 | 7 | 2 | 3 | 1 | 11:6 | 9 |
| 11 | ევერტონი ლივერპული (16) | 02.03 | 1:3 | 3:2 | 1:3 | 09.02 | 26.12 | : | 27.04 | 1:1 | 01.04 | | 16.03 | 2:0 | 5:0 | 29.12 | 12.01 | 13.04 | 02.02 | 01.12 | 15.12 | 11 | 4 | 3 | 4 | 18:17 | 15 | 3 | 1 | 2 | 13:9 | 10 | 1 | 2 | 2 | 5:8 | 5 |
| 12 | ფულემი ლონდონი (დ) | 01.12 | 02.03 | 02.02 | : | 1:3 | 29.12 | 1:1 | 09.02 | 23.03 | 13.04 | 08.12 | | 12.01 | 01.04 | 26.12 | 2:0 | 27.04 | 1:1 | 2:1 | 0:0 | 11 | 3 | 5 | 3 | 12:12 | 14 | 2 | 3 | 1 | 7:6 | 9 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| 13 | მიდლსბრო (14) | 09.02 | 16.03 | 06.04 | 1:4 | 0:4 | 15.12 | 27.04 | 20.04 | 30.03 | 19.01 | 01.01 | 22.12 | | 2:0 | 02.02 | 2:0 | 02.03 | 24.11 | 1:3 | 5:1 | 12 | 4 | 2 | 6 | 16:20 | 14 | 3 | 0 | 3 | 11:12 | 9 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| 14 | ვესტ ჰემ იუნაიტედი ლონდონი (15) | 0:0 | 29.12 | | 3:0 | 15.12 | 16.03 | 2:1 | 02.02 | 24.11 | 11.05 | 05.03 | 0:2 | 23.02 | | 06.04 | 20.04 | 12.01 | 30.03 | 2:0 | 26.12 | 11 | 4 | 2 | 5 | 12:21 | 14 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 | 1 | 1 | 4 | 5:18 | 4 |
| 15 | ჩარლტონ ატლეტიკი ლონდონი (9) | 0:2 | 0:2 | 19.01 | 01.12 | 01.04 | 09.02 | 02.03 | 22.12 | 08.12 | 23.03 | 1:2 | 1:1 | 0:0 | : | | 27.04 | 2:0 | 01.01 | 13.04 | 29.01 | 11 | 3 | 4 | 4 | 12:13 | 13 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| 16 | სანდერლენდი (7) | : | 13.04 | 01.01 | 23.02 | 1:1 | 1:3 | 08.12 | 1:0 | 1:2 | 05.03 | 22.12 | 19.01 | 29.01 | 01.12 | 2:2 | | 01.04 | 1:0 | 23.03 | 11.05 | 12 | 3 | 4 | 5 | 10:14 | 13 | 2 | 2 | 2 | 7:8 | 8 | 1 | 2 | 3 | 3:6 | 5 |
| 17 | ლესტერ სიტი (13) | 23.03 | 1:4 | 20.04 | 19.01 | 01.01 | 06.04 | 02.02 | 30.03 | 11.05 | 0:5 | 24.11 | 0:0 | 1:2 | 22.12 | 05.03 | 1:0 | | 1:1 | 08.12 | 23.02 | 12 | 2 | 3 | 7 | 7:23 | 9 | 1 | 2 | 3 | 4:12 | 5 | 1 | 1 | 4 | 3:11 | 4 |
| 18 | იფსვიჩ თაუნი (5) | 1:2 | 09.02 | 23.03 | 08.12 | 01.12 | 27.04 | 01.04 | 1:1 | 12.01 | : | 0:0 | 29.01 | 13.04 | 2:3 | 0:1 | 29.12 | 26.12 | | 02.03 | 3:1 | 12 | 1 | 5 | 6 | 13:20 | 8 | 1 | 2 | 3 | 7:8 | 5 | 0 | 3 | 3 | 6:12 | 3 |
| 19 | საუთჰემპტონი (10) | 29.12 | | 1:3 | 11.05 | 0:2 | 12.01 | 0:2 | 1:2 | 26.12 | 23.02 | 20.04 | 30.03 | 05.03 | 30.01 | 24.11 | 15.12 | 16.03 | 3:3 | | 06.04 | 11 | 2 | 1 | 8 | 10:21 | 7 | 0 | 1 | 4 | 5:12 | 1 | 2 | 0 | 4 | 5:9 | 6 |
| 20 | დერბი ქაუნთი (17) | 27.04 | 01.12 | 22.12 | 13.04 | 0:2 | 02.03 | 1:1 | 2:1 | 02.02 | 08.12 | 23.03 | 01.01 | 01.04 | 0:0 | 1:1 | 09.02 | 2:3 | 19.01 | : | | 11 | 1 | 4 | 6 | 9:22 | 7 | 1 | 3 | 2 | 6:8 | 6 | 0 | 1 | 4 | 3:14 | 1 |

## ინგლისი. პირველი დივიზიონი. 2001-02. XX ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | ს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.11.01 | 23.45 | 053 | 1:1უოტფორდი; 0:6პრესტონი; უოლსოლი0:2 სტოკპორტი V ნორვიჩი ბრედფორდი1:4; ველზი2:0; 2:0გრიმსბი | 3,0 | 3,3 | 2,1 | | | | : | 1:3 0:4 | 2:2 0:2 | 0:2 2:0 |
| 17.11.01 | 16.30 | 054 | 1:1ბარნლი; 3:2უენსდი; ბირმინგემი1:1 პორტსმუთი V სიტი ჯილინგემი4:1; 3:0ბარნსლი; 1:1ნოტინგემი | 2,5 | 3,2 | 2,4 | | | | - | - | 2:4 2:2 | - |
| 17.11.01 | 19.00 | 055 | 2:2პრესტონი; 0:3უოტფორდი; სიტი0:3 ბარნსლი V უიმბლდონი შეფილდი1:1; გრიმსბი2:1; 3:3ბრედფორდი | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | - | 0:1 1:1 | - | - |
| 17.11.01 | 19.00 | 056 | 4:1ნორვიჩი; 2:2ქრიუ; უიმბლდონი3:3 ბრედფორდი V უოლსოლი ნოტინგემი2:0; კრ. პალასი2:2; 2:0სტოკპორტი | 1,55 | 3,4 | 5,6 | | | | - | - | - | - |
| 17.11.01 | 19.00 | 057 | 2:3მილუოლი; პრესტონი2:2; უენსდი2:0 ქოვენთრი V ბარნლი პორტსმუთი1:1; უოტფორდი1:0; შეფილდი2:0 | 1,8 | 3,1 | 4,0 | | | | - | - | - | - |
| 17.11.01 | 19.00 | 058 | 2:2უოლსოლი; ვესტ ბრომვიჩი0:1; ნორვიჩი3:2 კრ. პალასი V ქრიუ ჯილინგემი0:0; ბრედფორდი2:2; 2:2როტერჰემი | 1,5 | 3,5 | 6,0 | | | | - | 1:1 1:0 | 1:1 0:2 | 1:0 1:1 |
| 17.11.01 | 19.00 | 059 | 0:0უენსდი; 1:2უიმბლდონი; ნორვიჩი0:2 გრიმსბი V მილუოლი როტერჰემი1:0; ქოვენთრი3:2; 0:1ველზი | 2,7 | 3,0 | 2,4 | | | | - | - | - | - |
| 17.11.01 | 19.00 | 060 | 0:2უოლსოლი; 0:1ვესტ ბრომვიჩი; უენსდი0:1 ნოტინგემი V პრესტონი ბარნსლი2:2; სტოკპორტი6:0; 2:2ქოვენთრი | 2,1 | 3,1 | 3,2 | | | | - | 3:1 1:1 | - | - |
| 17.11.01 | 19.00 | 061 | 0:1მილუოლი; 2:2ბირმინგემი; ქრიუ2:2 როტერჰემი V ვესტ ბრომვიჩი ნოტინგემი1:0; 1:0ბირმინგემი; 1:0კრ. პალასი | 2,9 | 3,0 | 2,3 | | | | - | - | - | - |
| 17.11.01 | 19.00 | 062 | 1:1უიმბლდონი; 0:2ბარნლი; უოტფორდი0:2 შეფილდი V ბირმინგემი როტერჰემი2:2; ვესტ ბრომვიჩი0:1; 1:1პორტსმუთი | 2,4 | 2,9 | 2,8 | | | | - | 0:1 3:1 | 2:0 1:2 | 0:2 0:1 |
| 18.11.01 | 18.15 | 063 | 0:2ნორვიჩი; მილუოლი1:0; ბარნლი3:0 ველზი V უენსდი გრიმსბი0:0; პორტსმუთი2:3; 1:0ნოტინგემი | 1,5 | 3,5 | 6,0 | | | | - | 1:1 1:0 | - | - |
| 18.11.01 | 22.15 | 064 | 0:0ქრიუ; 1:4სიტი; ბარნლი2:2 ჯილინგემი V უოტფორდი სტოკპორტი1:1; 0:1ბარნლი; ბარნსლი3:0 | 2,4 | 3,0 | 2,7 | | | | - | 0:0 0:3 | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ველვერჰემპტონ უონდერერსი (12) | | 3:0 | 01.12 | | 0:1 | | | 1:0 | 26.12 | 2:2 | 15.12 | | 1:0 | | 1:0 | 0:1 | 29.12 | | | | | : | | 2:2 | 17 | 10 | 4 | 3 | 28:14 | 34 | 4 | 2 | 2 | 10:6 | 14 | 6 | 2 | 1 | 18:8 | 20 |
| 2 | ბარნლი (7) | | | | | 1:0 | | 2:4 | 22.12 | | 1:1 | | | 1:0 | 3:2 | | 3:3 | 2:0 | 3:0 | 5:2 | 24.11 | | | 3:3 | 15.12 | 19 | 10 | 4 | 5 | 37:28 | 34 | 6 | 3 | 1 | 24:15 | 21 | 4 | 1 | 4 | 13:13 | 13 |
| 3 | ვესტ ბრომვიჩ ალბიონი (6) | 1:1 | 1:0 | | | | : | 4:0 | 0:2 | 2:0 | | | 24.11 | | 0:1 | 1:0 | | 08.12 | | | 0:1 | 1:0 | 22.12 | | | 18 | 10 | 2 | 6 | 22:16 | 32 | 5 | 1 | 3 | 10:5 | 16 | 5 | 1 | 3 | 12:11 | 16 |
| 4 | ნორვიჩ სიტი (15) | 2:0 | 2:1 | 2:0 | | | 15.12 | 2:0 | | | 0:0 | | 1:4 | 3:1 | 22.12 | 1:0 | | | | | | | 2:0 | 24.11 | | 18 | 10 | 2 | 6 | 24:22 | 32 | 7 | 1 | 1 | 15:6 | 22 | 3 | 1 | 5 | 9:16 | 10 |
| 5 | კრისტალ პალასი ლონდონი (21) | | 01.12 | 0:1 | 3:2 | | | 08.12 | 1:3 | | | | 2:0 | | 4:0 | 22.12 | : | | | | 5:0 | | 4:1 | 1:0 | 4:1 | 16 | 10 | 1 | 5 | 37:22 | 31 | 7 | 0 | 2 | 24:8 | 21 | 3 | 1 | 3 | 13:14 | 10 |
| 6 | ქოვენთრი სიტი (დ) | 0:1 | : | | | | | 4:3 | | 2:2 | 2:0 | | 22.12 | 08.12 | 01.12 | 0:0 | 1:0 | | | | 0:1 | | 2:0 | | | 17 | 9 | 4 | 4 | 22:14 | 31 | 4 | 2 | 2 | 11:7 | 14 | 5 | 2 | 2 | 11:7 | 17 |
| 7 | მანჩესტერ სიტი (დ) | : | 29.12 | 26.12 | | | | | | | | 3:0 | 15.12 | 3:0 | 0:4 | | 5:2 | 0:0 | 24.11 | 3:0 | 4:0 | 4:1 | | | 2:2 | 17 | 9 | 3 | 5 | 42:26 | 30 | 6 | 2 | 1 | 24:9 | 20 | 3 | 1 | 4 | 18:17 | 10 |
| 8 | მილუოლი (დ) | | 0:2 | | 4:0 | 26.12 | 3:2 | | | | 15.12 | | 3:1 | | | 3:3 | 29.12 | 2:0 | 1:0 | | | 24.11 | | 3:1 | | 17 | 9 | 3 | 5 | 30:19 | 30 | 6 | 1 | 1 | 19:9 | 19 | 3 | 2 | 4 | 11:10 | 11 |
| 9 | პრესტონ ნორთ ენდი (4) | 1:2 | 08.12 | | 4:0 | 24.11 | | 2:1 | 1:0 | | | | | | 1:1 | | | 3:0 | | 1:1 | 22.12 | | | 2:2 | 6:0 | 18 | 8 | 6 | 4 | 31:22 | 30 | 5 | 3 | 1 | 21:7 | 18 | 3 | 3 | 3 | 10:15 | 12 |
| 10 | პორტსმუთი (20) | | | 1:2 | 01.12 | 4:2 | | : | | 0:1 | | 1:1 | 0:1 | | | | 08.12 | 1:0 | | | 4:2 | 2:1 | | | 22.12 | 18 | 7 | 6 | 5 | 28:23 | 27 | 4 | 1 | 3 | 13:10 | 13 | 3 | 5 | 2 | 15:13 | 14 |
| 11 | ბირმინგემ სიტი (5) | | 2:3 | 0:1 | 08.12 | : | 24.11 | | 4:0 | 0:1 | | | 4:0 | | | | | | 2:2 | 22.12 | | 2:1 | 2:0 | | 2:1 | 18 | 7 | 5 | 6 | 30:24 | 26 | 5 | 1 | 3 | 18:9 | 16 | 2 | 4 | 3 | 12:15 | 10 |
| 12 | ბრედფორდი (დ) | 0:3 | 2:3 | | | 29.12 | 2:1 | | 01.12 | | | | | 4:3 | 3:3 | | | 26.12 | 08.12 | : | 3:2 | 5:1 | | 4:0 | 2:4 | 18 | 7 | 4 | 7 | 36:36 | 25 | 5 | 1 | 3 | 25:20 | 16 | 2 | 3 | 4 | 11:16 | 9 |
| მარტიგი | 16 | 3 | 4 | 9 | 10:22 | 13 |
| კრეტეი | 16 | 2 | 6 | 8 | 13:22 | 12 |

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# დაუმს ცხვირი აღარ გამოეყოფა

## მის საქმეს კოკაინთან ერთად ქრთამის სუნიც უდის

**გერმანიაში**, ქალაქ კობლენცში, გრძელდება კრისტოფ დაუმის სასამართლო პროცესი. გეხსომებათ, მას ნარკოტიკებთან მეგობრობა ედება ბრალად. საქმეში მეტად საინტერესო ახალმა ფაქტმა წამოყო თავი. ამჯერად სახელმწიფო ბრალმდებელმა გეორგ ანგერერმა დაუმის ერთ-ერთი ადვოკატი მოწმის მოსყიდვაში დაადანაშაულა. ბრალმდებლის თქმით, ადვოკატმა მოწმეს სიჩუმის სანაცვლოდ ერთი მილიონი ევრო (880 ათასი დოლარი) შესთავაზა. ადვოკატმა როლფ სტანკევიჩმა კი განაცხადა, რომ ეს მტკნარი სიცრუეა. მან იქეთ დასდო ბრალი მავან მოწმეს, სიჩუმის სანაცვლოდ ფულს გვძალავდაო.



კრისტოფ დაუმს ცხვირი შეურცხვა

შეგახსენებთ, რომ დაუმი ჯერ კიდევ იანვარში გამოუტყდა საზოგადოებას ნარკოტიკების სიყვარულში. გამოძიების მსვლელობისას დადგინდა, რომ 1999-დან 2000 წლის ჩათვლით ფეხბურთისა და კოკაინის გერმანელმა სპეციალისტმა 63-ჯერ შეიძინა თეთრი ფხვნილი. კრისტოფ მყნოსავი ერთჯერადი მოხმარებისთვის 3-დან 5 გრამამდე ყიდულობდა. გარდა ამისა, კიდევ 100 გრამი სხვათა შუამავლობით ჰქონია შეძენილი.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დასამტვრევი უნდა დაიმტვრეს

**ავსტრალიაში** მომხდარმა შეჯახებამ გაგრძელება საფრანგეთში ჰპოვა. შეგახსენებთ, წინა კვირას მელბურნში ავსტრალიელები მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს ამხანაგურად გაეჯიბრნენ. იმ მატჩში მასპინძელი კევინ მუსკატის ორთაბრძოლა სტუმარ კრისტოფ დიუგარისთან ამ უკანასკნელის მძიმე ტრავმით დასრულდა. ფრანგი ისე დაშავდა, მწვანე მინდორს სულ მცირე ერთი თვით ჩამოშორდა.

ისიც გავიხსენოთ, რომ დიუგარი „ბორდოს“ ძირითადი ფორვარდია. ჰოდა, ეს ამბავი კლუბის ერთ-ერთმა მეპატრონემ, ნიკოლა დე ტავერნომ შეიტყო თუ არა, ბუნებრივია, დიდად აღშფოთდა. იგი ამბობს, რომ ავსტრალიის ფეხბურთის ასოციაციისგან კომპენსაციას მოითხოვს. საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა როჟე ლემერმა კი საკითხი უფრო განაზოგადა: „მატჩისთვის ხარჯები გავწიეთ, იქიდან კი ტრავმირებული ფეხბურთელით დავბრუნდით. თუ ამხანაგური მატჩებისას ფეხბურთელები ასე იუხეშებენ, მაშინ კლუბებს მეტი საბაბი მიეცემათ, რომ თავიანთი მოთამაშეები ნაკრებში აღარ გაუშვან“.

ერთ-ერთმა ფრანგულმა გაზეთმა პირველი გვერდი ასე დაასათაურა: „საფრანგეთი ხაფანგში გაება“. „მელბურნის მატჩი უხეშობის ანთოლოგია უფრო იყო, ვიდრე ამხანაგური თამაში, ამიტომ დაფიქრება გვმართებს, ღირს თუ არა სათამაშოდ ასე შორს გამგზავრება“ — ეს ფრანგული პრესის საერთო აზრია, ხოლო რაც შეეხება თავად კევინ მუსკატს, აბსოლუტურად მშვიდადაა. იგი იქით ადანაშაულებს ... რობერ პირესს. „პირესი პირველივე ტაიმში მეუხეშა და ეს რომ ქუჩაში მომხდარიყო, აუცილებლად მიიღებდა საკადრის პასუხს“. თავის ფეხბურთელს იცავს ავსტრალიელთა ნაკრების თავკაცი ფრენკ ფარინაც: „დიუგარი და მუსკატი უბრალოდ ერთად დაეცნენ, ხოლო ამ ამბავში დამნაშავე მხოლოდ რობერ პირესია, რომელმაც ჩემის ფეხბურთელს ფურთხება დაუწყო. ასეთმა საქციელმა მუსკატი ცხადია, გააბრაზა“.

კევინ მუსკატს ისიც ჰკითხეს, რონალდოს თუ ეუხეშებოდი ასე, თქვენს კარში გოლის გატანას რომ ლამობდესო. ავსტრალიელმა უპასუხა, რომ მისთვის დიუგარი და რონალდო სულ ერთია და იგი არც ისე უხეშია, როგორც აბუქებენ. „წითელი ბარათი არასოდეს მიმიღია“ — სიამაყით განაცხადა კევინ მუსკატმა.

**ვაჟა ხუციშვილი**



კრისტოფ დიუგარისთვის (შუაში) კოჰენში რტყმა უცხო ხილი არ არის

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიურმა** „ნაპოლიმ“ სოლიდარობა გამოუცხადა კლუბის დირექტორ კორადო ფერლაინს, რომელიც ახლახან ფეხბურთიდან წასულმა არგენტინელმა ვარსკვლავმა დიეგო მარადონამ შეურაცხმყოფელი სიტყვებით შეამკო. „ფერლაინი პირწავარდნილი დამნაშავეა“ — თქვა მან. იტალიურმა კლუბმა არგენტინელის სიტყვებს უაზრო უწოდა: „ფერლაინს მხარში ამოვუდგებით, რადგან მარადონა უსამართლოდ მოექცა. მიუხედავად ყველაფრისა, „ნაპოლის“ ლეგენდარული არგენტინელის მიმართ მაინც კარგი მოგონებები ექნება“.

**შვედი ფეხბურთელი ჰაკან მილდი ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „უიმბლდონში“ გადადის. მილდმა შაბათს „ოლდ ტრეფორდზე“ ინგლის-შვედეთის ამხანაგურ მატჩში ითამაშა და ბრიტანელებს გოლიც გაუტანა. მილდმა ეროვნულ ნაკრებში 73-ჯერ ითამაშა და 7 გოლი გაიტანა.**

**მაკედონიის** ნაკრების ყოფილი დამრიგებელი დრაგან კანტლაროვსკი ამავე ქვეყნის პირველი დივიზიონის ბინადარ „ბელასიცას“ გაწვრთნის. კლუბის დირექტორ ბობი ტოდოროვის განცხადებით, სპეციალისტთან მოლაპარაკებები დასრულებულია და კანტლაროვსკი კლუბს უახლოესი მატჩისთვის მოამზადებს.

**ინგლისურმა „იფსვიჩმა“ „ლორიანის“ მცველი ულრიხ ლე პენი შეიძინა და მასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ტრანსფერი 2,5 მილიონი გირვანქა დაჯდა. ფრანგი თავისი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. მცველმა წინა ორ სეზონში 7 გოლიც კი გაიტანა. „იფსვიჩის“ თავკაცმა ჯორჯ ბარლიმ კლუბის ვებ-გვერდზე განაცხადა: „ლე პენს ბევრი დადებითი თვისება ახასიათებს. კარგი დრიბლინგი აქვს, პერსონალურ და საჰაერო ორთაბრძოლებში ძლიერია, ამასთან გოლების გატანაც ეხერხება. დიდი იმედი მაქვს, რომ პრემიერლიგაში სულ მალე იტყვის თავის სიტყვას“.**

**იტალიური** გრანდები „იუვენტუსი“ და „ინტერი“ სერია B-ს კლუბ „ემპოლის“ თავდამსხმელ ანტონიო დი ნატალეს შეძენით არიან დაინტერესებულნი. 24 წლის ფეხბურთელმა მიმდინარე ჩემპიონატში უკვე 7 გოლი გაიტანა და დიდი წვლილიც დაიდო იმაში, რომ მისი კლუბი ახლა ცხრილის ზედა საფეხურზეა. სააგენტოების ცნობით, მილანური კლუბი თანახმაა, ფორვარდის სანაცვლოდ 10 მილიონი დოლარი გადაიხადოს, გავრცელდა ცნობაც, რომ „იუვენტუსმა“ უკვე მიაღწია შეთანხმებას „ემპოლისთან“ და დი ნატალე მომავალ სეზონს ტურინულ კლუბში დაიწყებს. თუმცა ამ ინფორმაციას ქვედალიგელები ჯერჯერობით არ ადასტურებენ.

**გერმანულმა „კიოლნმა“ დაცვა გააძლიერა და „სენტ გალენიდან“ შვეიცარიის ნაკრების წევრი მარკ ცელვეგერი გადაიბირა. ბუნდესლიგური კლუბი ადასტურებს, რომ მარჯვენაფლანგელის შეძენა მას 375 ათასი გირვანქა დაუჯდა. შვეიცარიელი ალბათ მომავალ ტურშივე დაეხმარება „კიოლნს“, რომელმაც ბოლო ხუთი მატჩი წააგო და 15 გოლი გაუშვა. შედეგად ცხრილის ბოლო საფეხურზე ამოყო თავი. იმასაც შეგახსენებთ, რომ „კიოლნი“ შაბათს „ლევერკუზენს“ უმასპინძლებს.**

**ნორვეგიის** ნაკრების თავდამსხმელი მორტენ ბერე კარიერას ბუნდესლიგაში გააგრძელებს. 26 წლის ფეხბურთელი „ზანკტ პაულიმ“ „ვიკინგიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაიბირა და მასთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ზანკტ პაულიზე“ ბევრი არაფერი ვიცი, თუმცა იმაში დარწმუნებული ვარ, რომ ბუნდესლიგაში თამაშით დიდ გამოცდილებას შევიძენ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე „ვიკინგის“ დატოვება“ — განაცხადა ბერემ, რომლის დებიუტიც შესაძლოა მომავალ უქმეებზე შედგეს.

**იტალიურ „ინტერის“ ვიცე-პრეზიდენტად ჯაჩინტო ფაკეტი დაინიშნა. აღსანიშნავია, რომ მილანურ კლუბში იგი ადრეც მუშაობდა და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ფაკეტი თავის დროზე იტალიის ნაკრების ღირსებას იცავდა. 1968 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა, 1964 წელს ჩემპიონთა თასს, ხოლო ერთი წლის შემდეგ საკონტინენტთაშორისო თასსაც დაეუფლა.**

**ინგლისურმა** „საუთჰემპტონმა“ მექსიკური „ნეკაქსას“ თავდამსხმელი აუგუსტინ დელგადო შეიძინა და მასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ბრიტანელებმა მექსიკურ კლუბს 5 მილიონი დოლარი გადაუხადეს. 26 წლის ფორვარდს 29 მატჩი აქვს ჩატარებული ეკვადორის ნაკრებში.

**შოტლანდიის პრემიერლიგაში ოქტომბრის საუკეთესო მწვრთნელად „გლაზგო რეინჯერსის“ თავკაცი დიკ ადვოკაატი დაასახელეს. „რეინჯერსი“ ახლა მეორე ადგილზეა და „სელტიკს“ ჩამორჩება. ადვოკაატის გუნდი ბოლოს შოტლანდიის ჩემპიონატში სწორედ „სელტიკთან“ დამარცხდა, ხოლო მას შემდეგ თვეზე მეტია, არ წაუგია. „რეინჯერსმა“ წარმატებით დაძლია მოსკოვის „დინამოს“ ბარიერიც უეფას თასზე და მეთექვსმეტედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.**

**ინგლისური** „საუთჰემპტონის“ ყოფილი მწვრთნელი სტიუარტ გრეი „ასტონ ვილას“ მეორე გუნდს ჩაუდგა სათავეში. 41 წლის სპეციალისტი „საუთჰემპტონიდან“ წარუმატებელი სტარტის გამო დაითხოვეს და იგი გორდონ სტრაჩანმა შეცვალა. ბირმინგემელთა მეორე კლუბში გრეის თანაშემწედ ჯონ ტიგანა დაუნიშნეს. „გრეის დანიშვნა მართებულია, ამით ჩვენ, მწვრთნელები, უფრო დავახლოვდებით, რაც კლუბს წაადგება — განაცხადა „ასტონ ვილას“ მთავარმა მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ — თანაც სტიუარტს ჩვენთან 1987 და 1991 წლებშიც უმუშავია და კლუბს კარგად იცნობს“.

**ესპანური „ვალენსიის“ ფრანგი მცველი ჟოსელინ ანგლომა ოთხთვიანი მკურნალობის შემდეგ მწვანე მინდორს უბრუნდება. „სასიხარულოა ტრავმის შემდეგ დაბრუნება — აღნიშნა 36 წლის ფეხბურთელმა — თუმც დაშავებული მარცხენა ფეხი კვლავ მტკივა და სიფრთხილე მმართებს“. მაგრამ ტკივილი არაფერია ფრანგისთვის, რომელმაც მუხლზე ოპერაცია არ გაიკეთა, სანამ ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბაიერნის“ წინააღმდეგ „ვალენსიას“ არ დაეხმარა. „გამიჭირდება, მაგრამ მაინც შევეცდები, ფორმა მალე აღვიდგინო“ — განაცხადა ანგლომამ.**

**იტალიის** ფეხბურთის მმართველებმა „ვენეციას“ ბრაზილიელი მცველი ფაბიო ბილიკა დაკითხეს. ფეხბურთელი „ბრეშას“ თავდამსხმელ რობერტო ბაჯოს თამაშის წინ დამუქრებია, შენ ვერ წახვალ მსოფლიოს ჩემპიონატზე, რადგან ფეხებს დაგამტვრევო. ბაჯოც ხსენებულ მატჩში მოწინააღმდეგე ფეხბურთელთან, ანტონიო მარასკოსთან შეჯახებისას დაშავდა და ორი თვე ვერ ითამაშებს. ამ ფაქტის თაობაზე დაზარალებულმა ჩვენება უკვე მისცა და საქმეს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური პროკურორი იძიებს. დაკითხულ ბილიკას, რომელიც ყველაფერს უარყოფს, მალე გამოუტანენ განაჩენს.

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

# მაიამი უბრალოდ ცუდი გუნდია

13 ნოემბერი

**მაიამი 76:82 ფილადელფია**

**მაიამი:** კარტერი (6), ჯონსი (20 ქულა, 10 მოხსნა), ჰამილტონი, გრანტი (4), მურნინგი (10); ჰაუსი (14), ელისი (12), გეტლინგი (6), სტეფანია (5 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა, 1 დაფარება), მეკი (2) მარქსი

**ფილადელფია:** აივერსონი (25), მაკკი (6), ჰარპრინგი (12), კოულმენი (21 ქულა, 12 მოხსნა), მუტომბო (6 ქულა, 11 მოხსნა); კლაქსტონი (4), ბლაუნტი (4), ჯეიმსი (4), ბელი, ჯონსი

ამერიკის შეერთებული შტატები კორუფციისგან შეჭმული პატარა ქვეყანა რომ იყოს, ხოლო ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია რომელიმე გაქუცული ლიგა, აუცილებლად გაგვიჩნდებოდა ეჭვი, „მაიამი ჰითმა" სული ეშმაკს და თამაში „ფილადელფიას" მიჰყიდაო, მაგრამ ვინაიდან აშშ გამართული ქვეყანაა და, მადლობა ღმერთს, არც ნბა-ში ხდება ჩაწყობები, ისღა დაგვრჩენია, ვიფიქროთ, რომ „ჰითი" უბრალოდ ცუდი გუნდია და მაინცდამაინც არ ეხერხება თამაშის მოგება. პატ რაილის შეგირდებმა ზედიზედ მესამედ წააგეს, ბოლოს მართალია ვიცე-ჩემპიონ „ფილადელფიასთან" წაიბორძიკეს და არა ვთქვათ, „ჩიკაგოსთან", მაგრამ ეს ისეთი თამაში იყო, თავმოყვარე გუნდს უნდა მოეგო.

სანამ ალენ აივერსონი ნაოპერაციევი იდაყვის მორჩენას ელოდა, „სიქსერზმა" პირველი ხუთი თამაში წააგო, ხოლო როცა ლიდერი დაუბრუნდა, ზედიზედ ორჯერ იმარჯვა. აქედან მარტივი დასკვნის გამოტანა შეიძლება — აივერსონი „ფილადელფიისთვის" შეუცვლელია, ხოლო „სიქსერზი" მასთან ერთად ყველას მომრევი გუნდი, მაგრამ არც მთლად ასეა. სინამდვილეში საკითხავი ისაა, წინა სეზონის საუკეთესო მოთამაშე დახმარების ნაცვლად ხელს ხომ არ უშლის თანაგუნდელებს. წინა, „დალასთან" შეხვედრაში მან 28 სროლიდან 21 ააცილა, „მაიამისთან" 30-დან — 22. აივერსონმა „ჰითთან" გააფუჭა ბოლო თერთმეტი სროლა, შვიდჯერ დაკარგა ბურთი, ერთი სიტყვით, ცუდად ითამაშა. „ფილადელფიას" თამაში აივერსონზეა აწყობილი, ხოლო რადგან ამას არაფერი გამოუვიდა, „მაიამის" ისღა დარჩენოდა, ტკბილად შეერგო ბოძებული შანსი და ეს შეხვედრა უბრალოდ მოეგო.

ისე თამაში რომ მოიგო, ამის სურვილი უნდა გქონდეს, 13 ნოემბერს კი „მაიამის", ლიდერთაგან ამ სურვილს ოდენ ედი ჯონსი ამჟღავნებდა. იგი ლამის მარტო ებრძოდა წინა სეზონის მეორე გუნდს და ერთ მომენტში გარკვეული წარმატებითაც. 12-ქულიანი ჩამორჩენა მან ბოლო მეოთხედის შუაწელს მინიმუმამდე დაიყვანა, თუმც სხვა მასპინძლები ამ დროს ტყუილად ცდილობდნენ, მოედანზე უქმად არ ყოფილიყვნენ და სტუმრებმაც ნაჩუქარი გამარჯვებით გაიხარეს.

„მაიამის" „ფილადელფიაზე" უკეთესი წინა ხაზი ჰყავს, მაგრამ ეს ზოგადად, კონკრეტულად ამ მატჩში ფლორიდელთა მაღლები ჩაფლავდნენ. ძირითადები — ცენტრი მურნინგი და თავდამსხმელი გრანტი უაზროდ დაბორიალობდნენ ორ ფარს შორის. ამის მიუხედავად, პატ რაილიმ მხოლოდ რამდენიმე წუთით ინება ქართველი ვოვა სტეფანიას მოედანზე შეშვება და მიუხედავად იმისა, რომ მან ურიგოდ არ ითამაშა, რაილიმ მალევე დააბრუნა სკამზე. სამაგიეროდ, 16 სათამაშო წუთი უბოძა შონ მარქსს, რომელსაც ქულაც არ ჩაუგდია.

ახლა რაილის ნამდვილად არ სცხელა სტეფანიასთვის, რადგან მისი გუნდი კრიზისშია. სახელგანთქმულ პატს უჭირს ამის აღიარება. ნამატჩევს მან ესღა თქვა: „ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ სტაბილურობას. ყველაფერი, რაც ჩვენ გვჭირდება, ეს ოთხი-ხუთი კაცის სტაბილურად კარგი თამაშია".

მომდევნო შეხვედრაში, 15 ნოემბერს, „მაიამი" „მოსისხლე" „ნიუ იორკს" სტუმრობს. სტეფანიას გუნდის გარშემო ბოლო ჟამს განვითარებულ მოვლენებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ჰითის" მოუგებელ მატჩთა სერია იქნებ ოთხამდე გაიზარდოს.

**ნიუ იორკი 89:82 პორტლენდი**

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (23)

**პორტლენდი:** დევისი (17 ქულა, 13 მოხსნა), ველსი (17), პიპენი (15 ქულა, 11 მოხსნა)

**ინდიანა 82:91 ნიუ ჯერსი**

**ინდიანა:** როუზი (21), ჰარინგტონი (16 ქულა, 14 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი:** კიდი (20 ქულა, 10 მოხსნა), ვან ჰორნი (15 ქულა, 13 მოხსნა)

**მინესოტა 103:107 კლივლენდი**

**მინესოტა:** გარნეტი (28 ქულა, 14 მოხსნა), შჩერბიაკი (19), ბრენდონი (14 ქულა, 12 პასი)

**კლივლენდი:** მილერი (29 ქულა, 11 პასი), მიურეი (22)

**სან ანტონიო 90:86 ჰიუსტონი**

**სან ანტონიო:** დანკანი (19)

**ჰიუსტონი:** ფრენსისი (32), ვილისი (17 ქულა, 10 მოხსნა)

**საკრამენტო 95:86 ტორონტო**

**საკრამენტო:** ბიბი (20), კრისტი (20), დივაცი (14 ქულა, 10 მოხსნა)

**ტორონტო:** კარტერი (23)



მაიამი — ფილადელფია. ალენ აივერსონმა „მაიამისთან" წაიბორძიკა, მაგრამ ედი ჰაუსმა და მისმა თანაგუნდელებმა ეს ვერ გამოიყენეს

**სიეტლი 91:92 ფინიქსი**

**სიეტლი:** პეიტონი (27), ლუისი (18 ქულა, 10 მოხსნა)

**ფინიქსი:** ჰარდევეი (26), მარიონი (25), მარბერი (24 ქულა, 12 პასი)

**დენვერი 101:93 ჩიკაგო**

**დენვერი:** ვან ექსელი (23), ლაფრენცი (18), ვილიამსი (18)

**ჩიკაგო:** მილერი (25 ქულა, 13 მოხსნა), მერსერი (18)

სენსაციური ამბავი მინეაპოლისიდან! წაუგებელმა „მინესოტა ტიმბერვულვზმა" ექვსი გამარჯვების შემდეგ პირველი მარცხი იწვნია და მერე ვისთან, „კლივლენდ კავალიერზსთან", რომელმაც ასეთი კალიბრის მეტოქეს იქნებ კიდევ ორ თვეს ვერ მოუგოს. მინესოტელი „მგლები" აქამდე გონივრულად დაყენებულ ზონური დაცვით ჭამდნენ პურს და დამარცხება არ იცოდნენ. „მგლების ხროვის" მეთაურმა ფლიპ სანდერსმა 211-სანტიმეტრიანი თავდამსხმელი კევინ გარნეტი ფრთად გაამწესა და ხუთეულში კიდევ ერთი ამ ამპლუის ჯო სმიტი ჩასვა, რამაც „ვულვზის" ფარის მისადგომები ფაქტობრივად აუღებელ ციხედ აქცია. „მგლების" ზონა ამართლებდა ყველასთან, სანამ კლივლენდელმა ანდრე მილერმა მას გასაღები არ მოარგო. „კავალერიის" გამთამაშებელმა სწრაფი პასებით და შორი სროლებით მასპინძლებს გარჯა წყალში გადაუყარა.

„საკრამენტოს" არა ჰყავს კრის ვებერი. მის არყოფნაში გალიდერებულ პრედრაგ სტოიაკოვიჩს სროლები არ წაუვიდა (სულ რვა ქულა გააკეთა), გამთამაშებელმა მაიკ ბიბიმ პასებით ვერ უზრუნველყო თანაგუნდელები (სულ ორ პასს დასჯერდა) და ამის გამო „საკრამენტო" ვერ ჩაჯდა ჩვეულ, სწრაფ რიტმში, რომელიც ასე აშინებთ მის მეტოქეებს. ყოველივე ამის მიუხედავად, „საკრამენტომ" მოუგო „ტორონტოს", რომელსაც ჯერ ნბა-ს აღმოსავლეთ ნახევრის, შემდეგ კი სრულიად ლიგის დაპყრობა განუზრახავს.

ფიცხელი ბრძოლა გაიმართა სიეტლში, სადაც „სუპერსონიქსი" „ფინიქს სანზს" მასპინძლობდა და მოიგებდა კიდეც, საიდანღაც იაკოვოს ცაკალიდისი რომ არ გამომტყვრალიყო. სოხუმში დაბადებულმა და გაზრდილმა „ფინიქსის" ბერძენმა ცენტრმა მანამდე ოთხიდან ოთხი საჯარიმო სროლა გააფუჭა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, მატჩის დამთავრებამდე ხუთი წამით ადრე, როცა მისი გუნდი 90:91 აგებდა, ხელი არ აჰკანკალებია და ორივე ჩააგდო.

**ირაკლი ფირცხალავა**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| ნიუ ჯერსი | 6 | 1 | 85,7 |
| ბოსტონი | 4 | 2 | 66,7 |
| ორლანდო | 3 | 5 | 37,5 |
| ნიუ იორკი | 3 | 5 | 37,5 |
| ვაშინგტონი | 2 | 5 | 28,6 |
| მაიამი | 2 | 5 | 28,6 |
| ფილადელფია | 2 | 5 | 28,6 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 4 | 1 | 80,0 |
| ინდიანა | 6 | 3 | 66,7 |
| დეტროიტი | 4 | 2 | 66,7 |
| ტორონტო | 4 | 4 | 50,0 |
| შარლოტი | 3 | 3 | 50,0 |
| კლივლენდი | 2 | 6 | 25,0 |
| ჩიკაგო | 1 | 6 | 14,3 |
| ატლანტა | 1 | 6 | 14,3 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| მინესოტა | 6 | 1 | 85,7 |
| სან ანტონიო | 6 | 2 | 75,0 |
| დალასი | 5 | 2 | 71,4 |
| ჰიუსტონი | 5 | 3 | 62,5 |
| დენვერი | 4 | 4 | 50,0 |
| იუტა | 3 | 5 | 37,5 |
| მემფისი | 0 | 7 | 0,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ლეიკერსი | 6 | 0 | 100,0 |
| საკრამენტო | 6 | 2 | 75,0 |
| გოლდენ სტეიტი | 5 | 3 | 62,5 |
| ფინიქსი | 4 | 4 | 50,0 |
| პორტლენდი | 4 | 5 | 44,4 |
| კლიპერსი | 3 | 4 | 42,9 |
| სიეტლი | 3 | 6 | 33,3 |



# ნოდარ ჯორჯიკია 80 წლისაა

ნოდარ ჯორჯიკია ოთხმოცი წლისა მოყრილა — კაცი, რომელიც საკალათბურთო სარბიელზე თავის გულშემატკივარსაც აღფრთოვანებდა და მოწინაალმდეგე გუნდების ქომაგნიც ალტაცებაში მოჰყავდა. მას ტაშს უკრავდნენ ჰელსინკის (1952წ.) ოლიმპიურ თამაშებზეც, სადაც ვერცხლის მედალი მოიპოვა და ბერლინის (1951წ.) სტუდენტთა XI მსოფლიო თამაშებზეც, საიდანაც ჩემპიონად დაბრუნდა. ერთგანაც და მეორეგანაც იგი დიდად გამოცდილი კალათბურთელი იყო და ევროპის ჩემპიონის (1947) რანგშიც თამაშობდა.

ნოდარ ჯორჯიკია ქართველ კალათბურთელთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედის ერთ-ერთი კაშკაშა ფიგურა იყო, რომელმაც თანაგუნდელებთან ერთად ხუთჯერ (1941, 46, 50, 53, 54) მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი, ორჯერ (1950, 51) კი თასს დაეუფლა.

ყოველივე ამას გაიხსენებენ ნოდარ ჯორჯიკიას თანაგუნდელები და საერთოდ ქართული სპორტული საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც იუბილეს მიულოცავენ თავის ერთ-ერთ ბრწყინვალე ვარსკვლავს, დღეს ოთხმოცისა რომ გამხდარა.

მილოცვებს ჩვენც ვუერთდებით და ჯამრთელობასა და წელთა სიმრავლეს ვუსურვებთ ბატონ ნოდარს.

*სარბიელელები*

**საქართველოს კალათბურთის ფედერაცია 80 წლის იუბილეს ულოცავს დიდ ქართველ კალათბურთელს ნოდარ ჯორჯიკიას, უსურვებს ჯამრთელობასა და დღეგრძელობას.**

ხელბურთი

# ხელბურთელებს ხელი გაუმართეს

**საფეხბურთო** ლიგისგან განსხვავებით, ხელბურთელთა ტურნირი მართლაც ჩემპიონებისაა: ყოველ ქვეყანას თითო წარმომადგენელი ჰყავს. შეღავათი, ანუ მეორე კლუბის გამოყვანის უფლება მხოლოდ წინა გათამაშების გამარჯვებულს ეძლევა.

სადღეისოდ რეიტინგით რვა საუკეთესო გუნდი — ესპანეთის „პორტლენდ სან ანტონიო" და „ადემარ ლეონი", „მაგდებურგი" (გერმანია), „მეტკოვიჩ ჯამბო" (ხორვატია), „პივოვარნა ლაშკო" (სლოვენია), „ლოვჩენი" (იუგოსლავია), „ფოტექსი" (უნგრეთი), „სანდფიორდი" (ნორვეგია) უბრძოლველად დაუშვეს ჯგუფურ ტურნირში, ხოლო კიდევ ამდენივე — „კოლდინგი" (დანია), „ცსკა — სპორტაკადემკლუბი" (რუსეთი), „კარვინა" (ჩეხეთი), „ვარდარი" (მაკედონია), „სპორტინგი" (პორტუგალია), „რედბერგსლიდსი" (შვედეთი), „შამბერი" (საფრანგეთი) და „ჰაპოელი" (ისრაელი) შესარჩევი თამაშების შემდეგ გაირკვა.

ორწრიანი ჯგუფური ტურნირის შემდეგ რვა უძლიერესი პლეი ოფის სისტემით გააგრძელებს ბრძოლას. ექვსთვიანი მარათონი აპრილის ბოლოს ორი საუკეთესო კლუბის დუელით დასრულდება.

მნიშვნელოვანი სიახლე: პირველად ხელბურთელთა ლიგის ისტორიაში სოლიდური მატერიალური ანაზღაურებაა გათვალისწინებული — ნახევარფინალში გასული ოთხეული ევროპის ფედერაციისგან 150 ათას დოლარს მიიღებს.

პირველივე ტურში რამდენიმე მოულოდნელი შედეგი აღინიშნა: მრისხანე „მაგდებურგმა" ვერ შეძლო დებიუტანტ „შამბერის" ჯობნა. ევროპის საკლუბო ჩემპიონმა ფრანგებს მათ მოედანზე პირველი ტაიმი კი მოუგო (15:13), მაგრამ შესვენების შემდეგ უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხა და საბოლოოდ ფრეს დასჯერდა. „შერჩეულმა" ჩეხებმა გაცილებით მაღლა მდგომი, ესპანეთის ერთ-ერთი გრანდი „ადემარი" შეარცხვინეს, ხოლო „კოლდინგმა" ასევე ორბურთიანი სხვაობით ბევრად სახელოვან იუგოსლაველებს სძლია.

**გია ახალაძე**

**ვაჟთა ჩემპიონთა ლიგა**

ჯგუფური ეტაპი. პირველი ტური

A ჯგუფი

პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) 36:26 სპორტინგი (პორტუგალია)

კოლდინგი (დანია) 20:18 ლოვჩენი (იუგოსლავია)

B ჯგუფი

ჰაპოელი (ისრაელი) 28:36 ჯამბო (ხორვატია)

რედბერგსლიდსი (შვედეთი) 29:28 სანდფიორდი (ნორვეგია)

C ჯგუფი

კარვინა (ჩეხეთი) 29:27 ადემარი (ესპანეთი)

ცსკა (რუსეთი) 25:27 პივოვარნა (სლოვენია)

D ჯგუფი

შამბერი (საფრანგეთი) 26:26 მაგდებურგი (გერმანია)

ვარდარი (მაკედონია) 24:27 ფოტექსი (უნგრეთი)




მაიკ გარტნერი, დეილ ჰავერჩუკი, იარი კური და ვიაჩესლავ ფეტისოვი

# ლეგენდები განდიდდნენ

**დიდების** დარბაზში ღირსეულთაგან ღირსეულებს ირჩევენ. ამაში ოთხშაბათს ჰოკეის საზოგადოება კიდევ ერთხელ დარწმუნდა. იარი კური, ვიაჩესლავ ფეტისოვი, მაიკ გარტნერი, დეილ ჰავერჩუკი... ვფიქრობ, განმარტება ზედმეტია. ოთხივეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მსოფლიო ჰოკეის წინაშე და არც ერთის დიდებაში შეეპარება ვინმეს ეჭვი. ახალი საუკუნის პირველ რჩეულთ ჯამში 1935 გოლი, 8 სტენლის თასი და 3 ოლიმპიური ოქრო დაჰგროვებიათ. ყველაზე ტიტულიანი, თუ მხოლოდ ნჰლ-ის ჯილდოებს ჩათვლით, კური გახლავთ. 80-იანი წლების დიადი ედმონტონის დიადი ჰოკეისტების თანავარსკვლავედში ფინელი ბრწყინავდა, ხოლო მისი და უეინ გრეცკის შემტევი დუეტი დღესაც ეტალონად ითვლება. კურის ანგარიშზე 5 სტენლის თასია, ხოლო ევროპაში დაბადებულთა შორის ყველაზე გამორჩეულ ფინელს შედეგიანობაში ბადალი არ ჰყავს. 1251 მატჩში მან 601 გოლი და 797 პასი მიითვალა. კური პირველი ფინელია დიდების დარბაზში.

ყველანაირ დონეზე მოპოვებული ჯილდოებით ვიაჩესლავ ფეტისოვს ვერავინ შეედრება. მართალია, ნჰლ-ში იგი გვიან მოხვდა და თავისი უნიკალური ოსტატობა ბოლომდე ვერ აჩვენა, მაგრამ კარიერის დასასრულს ორჯერ ზედიზედ მოიპოვა დეტროიტთან ერთად თასი და ამით ბოლომდე შეივსო იმ მიღწევების უმდიდრესი ნუსხა, რომელიც ორ ოლიმპიურ, 9 მსოფლიოს ოქროს და ერთ კანადის თასს ითვლის (სსრკ-ს ჩემპიონობაზე არაფერს ვამბობთ). მოუსვენარი რუსი კიდევ ერთი მწვერვალის დალაშქვრას აპირებს, ოღონდ უკვე მწვრთნელის ამპლუაში. ის 2002 წლის ოლიმპიადაზე თავისი ქვეყნის ნაკრებს გაუძღვება.

დანარჩენ ორს სტენლის თასის მოპოვება ბედმა არ არგუნა, თუმც ეს მათ ნჰლ-ის წინაშე დამსახურებას ჩრდილს სულაც არ აყენებს. ისიც საკმარისია, რომ გარტნერი გატანილი გოლების რაოდენობით ლიგის ისტორიაში მეხუთეა და მხოლოდ გრეცკის, ჰოუს, დიონსა და ესპოზიტოს ჩამორჩება. 19-წლიანი კარიერის განმავლობაში მან 708 გოლი მიითვალა, ხოლო ზედიზედ 15 სეზონში 30 გოლზე მეტის გატანა დღემდე არავის მოუხერხებია.

რაც შეეხება ჰავერჩუკს, ის დღესდღეობით მეცამეტეა ლიგის ბომბარდირთა სიაში 1409 (518+891) ქულით, 5-ჯერ „ოლ სტარის" მონაწილე დეილს ისეთი უნიკალური მიღწევა ეკუთვნის, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია — თავის პირველი ექვსი სეზონიდან ხუთში, მათ შორის სადებიუტოში, 100 ქულაზე მეტი გააკეთა.

**სამველ ლარიბიანი**

## კვირის მოთამაშე

### ჟოსლენ ტიბო (ჩიკაგო)



ჩიკაგოს მეკარეზე სწორედ რომ ზედგამოჭრილია ანაზა — სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. თავად განსაჯეთ, 1994 წელს, მაშინ 18 წლის ტიბომ ლიგაში შკაშა დებიუტი გამართა და უკლებლივ ყველამ ფანტასტიკური მომავალი უწინასწარმეტყველა, მაგრამ ვერც კვად პატრიკ რუას დუბლიორობამ და ვერც შემდგომ ჩიკაგოში გადასვლამ ვერ დაუსვა წერტილი უიღბლო სერიას, რომელმაც უნიჭიერეს მეკარეს გზა გადაუღობა. ჟოსლენმა მხოლოდ წლეულს დაიბრუნა ის ცივსისხლიანობა და თავდაჯერება, რომელიც ესოდენ სჭირდება მეკარეს. სწორედ მისმა საოცარმა თამაშმა შეასხა ფრთები მის გუნდს, რომელმაც მრავალწლიანი პაუზის შემდეგ შეძლო, თავი დაეღწია სატურნირო ცხრილის ფსკერისთვის და ლიგაში მეორე ადგილზე აღზევებულიყო. გასულ კვირას ტიბო, ისევე როგორც უკლებლივ ყველა წინა თამაშში, სამივე შეხვედრაში იცავდა „ქორების" კარს და სამივეში შეუდარებელი იყო. ჟოსლენმა განსაკუთრებით ფილადელფიასთან (2:1) თამაშში გაიბრწყინა — 27 ისეთი დარტყმა მოიგერია, რომელთაგან მინიმუმ ნახევარი აუღებელი გახლდათ.

**საუკეთესო ექვსეული. 5-11 ნოემბერი**

*ჟოსლენ ტიბო (ჩიკაგო, 1); უეიდ რედენი (ოტავა, 1) — დენის გოტიე (კალგარი, 1); ტეო ფლერი (რეინჯერსი, 1) — ალექსეი ჟამნოვი (ჩიკაგო, 1) — ერიკ ლინდროსი (რეინჯერსი, 1)*

NHL
რეგულარული ჩემპიონატი

# სენატორებმა დედაქალაქში ისტორია დაწერეს

13 ნოემბერი

**ვაშინგტონი 5:11 ოტავა (1:5 2:3 2:3)**
0:1 მაკიჩერნი 2(4), 0:2 ჰოსა 4(6), 0:3 ჰოსა 8(7), 1:3 გონჩარი 9(5), 1:4 ალფრედსონი 19(7), 1:5 ბონკი 20(4), 2:5 გონჩარი 23(6), 2:6 ალფრედსონი 24(8), 3:6 საიმონი 25(2), 3:7 მაკიჩერნი 26(5), 3:8 უაიტი 32(8), 3:9 ალფრედსონი 41(9), 4:9 პეტინგერი 47(1), 4:10 ნილი 50(2), 5:10 კოტე 57(2), 5:11 ჰავლატი 57(7)

**ბოსტონი 5:3 მონრეალი (2:1 0:1 3:1)**
1:0 სამსონოვი 7(7), 1:1 მარკოვი 8(1), 2:1 მიურეი 16(9), 2:2 ბულისი 40(3), 3:2 როლსტონი 45(8), 4:2 გერინი 52(4), 4:3 პეტროვი 60(6), 5:3 ტორნტონი 60(7)

**მინესოტა 4:2 ატლანტა (1:0 2:1 1:1)**
1:0 გაბორიკი 16(6), 2:0 გაბორიკი 25(7), 3:0 გაბორიკი 29(8), 3:1 ჰიტლი 31(5), 3:2 ფერარო 48(3), 4:2 დიუპუი 60(2)

**ნიუ ჯერსი 1:5 პიტსბურგი (0:0 1:2 0:3)**
1:0 არნოტი 10(7), 1:1 კოვალიოვი 31(1), 1:2 მოროზოვი 40(3), 1:3 კოვალიოვი 50(2), 1:4 მოროზოვი 52(4), 1:5 კოვალიოვი 59(3)

**ვანკუვერი 3:2 ჩიკაგო (2:0 1:2 0:0)**
1:0 რუუტუ 13(1), 2:0 რუუტუ 18(2), 2:1 კოლდერი 22(9), 2:2 დაზე 32(10), 3:2 ჟოვანოვსკი 38(7)

**კოლუმბუსი 3:2 სენტ ლუისი (0:1 1:0 1:1 1:0)**
0:1 ტკაჩუკი 7(10), 1:1 მარშალი 31(5), 1:2 დემიტრა 53(12), 2:2 ვიბორნი 59(1), 3:2 უაიტი 65(2)

**დეტროიტი 4:3 კაროლინა (1:0 3:0 0:3)**
1:0 ფიოდოროვი 19(9), 2:0 შენაჰანი 28(11), 3:0 ჰოლმსტრიომი 31(2), 4:0 დანდენო 33(3), 4:1 ვალინი 47(1), 4:2 ყელინა 49(3), 4:3 ბატალია 58(2)

**ნეშვილი 4:1 ბუფალო (1:0 1:0 2:1)**
1:0 ლეგვანდი 8(5), 2:0 ჰარტნელი 34(4), 2:1 აფინოგენოვი 44(6), 3:1 რონინგი 54(3), 4:1 იახმენევი 59(3)

**ფინიქსი 4:5 ედმონტონი (1:2 2:2 1:0 0:1)**
1:0 ბრირი 6(8), 1:1 პოტი 13(1), 1:2 ბრიუერი 17(1), 1:3 კარტერი 22(11), 2:3 კოლანოსი 22(5), 2:4 რ. სმიტი 31(7), 3:4 ბერეზინი 36(1), 4:4 ბრირი 60(9), 4:5 რ. სმიტი 63(8)

„წინასწარ რომ მცოდნოდა, რა დამაბრუნებდა?" — ფიქრობდა, ალბათ, ვაშინგტონელი იარომირ იაგრი ოტავასთან მატჩის შემდეგ. მან ოთხი თამაში გამოტოვა და ერთი სული ჰქონდა, ყინულზე გასულიყო, მაგრამ „სენატორებმა" ისეთი დღე აყარეს მასპინძლებს, თავი აღარ გამოეყოფოდათ. ყველაზე მეტად კი თავად იაგრი შერცხვა. მართალია, სუპერჩეხმა მცველ სილვენ კოტეს პასი გადააწოდა, მაგრამ ეს მატჩის მიწურულს აღარაფერს წყვეტდა.

ბოლო ხანს ათამაშებულმა ოტავამ თავიდანვე დაჩოქა მასპინძლები. მისი პირველი და მეორე სამეულები მარიან ჰოსასა (2+3) და დანიელ ალფრედსონის (კარიერაში მე-4 ჰეთ თრიქი) წინამძღოლობით აშკარად სჯობდნენ ვაშინგტონელ მეტოქეებს. „კეპიტალსის" მეკარე ოლაფ კოლციგმა პირველ პერიოდშივე გაუშვა 5 გოლი და ადგილი კრეიგ ბილინგტონს დაუთმო. იგი განსაკუთრებით ჰოსამ გატანჯა, რომელმაც 2 გოლი და 2 პასი მიითვალა სასტარტო სამეულში. კოლციგის დუბლიორის აბუჩად აგდება კი უკვე ალფრედსონმა იკისრა და ჩინებულადაც მოახერხა. ოტაველებმა მანამდე არ მოისვენეს, სანამ თითქმის ყველა ყინულზე მყოფმა ქულები არ მიითვალა. შედეგად „სენატორებმა" ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით მოიგეს, ხოლო ვაშინგტონს ამდენი შაიბა ბოლო 18 წელიწადია, არ გაუშვია. ოტავამ ზედიზედ მეშვიდედ მოიგო.

ატლანტა კი სრულიად საპირისპიროდ მიდის — იგი მიყოლებით მერვედ დამარცხდა. მართალია, ამჯერად ორი გოლი გაიტანა, მაგრამ ამან ვერ უშველა. სტუმრები მინესოტას ნორჩი ლიდერის, 19 წლის მარიან გაბორიკის მსხვერპლნი შეიქნენ. 6 მატჩის განმავლობაში უგოლოდ დარჩენილმა სლოვაკმა კარიერაში პირველი ჰეთ-თრიქი შეასრულა.

იაგრისგან განსხვავებით, მისი ყოფილი თანაკლუბელის, ალექსეი კოვალიოვის დაბრუნება (იგი ერთ თვეს უქმობდა) ძალიან დაეხმარა მის პიტსბურგს, რომელმაც ათამაშებულ ნიუ ჯერსისთან გასვლით მატჩში ხუთჯერ გაიტანა. აქედან სამი კოვალიოვის (კარიერაში მე-7 ჰეთ თრიქი) ანგარიშზეა.

**სამველ ლარიბიანი**





პატრიკ რაფტერმა თამაშის დროსაც სცადა მტკივანი მხრის მოშუშება, მაგრამ მაინც წააგო

# ოზი თავში, ოზი ბოლოში

## ჰიუიტი კუერტენს დაუახლოვდა

სიდნეი (ავსტრალია)
„მასტერს კაპი"
საპრიზო 3,7 მილიონი $

**ჯონ ნიუკომბის ჯგუფი**

**ლეიტონ ჰიუიტი (2, ავსტრალია) — ანდრე აგასი (3, აშშ) 6:3, 6:4; სებასტიენ გროჟანი (7, საფრანგეთი) — პატრიკ რაფტერი (6, ავსტრალია) 7:6 (7:4), 6:3**

ანგარიშში მაინცდამაინც არ უჩვენებს ლეიტონ ჰიუტის და ანდრე აგასის მატჩის დაძაბულობას და პრინციპში, ჰიუიტმა სამართლიანად გაიმარჯვა, მაგრამ ბრძოლაში რყევები ხშირი იყო და, თავისუფლად შეიძლებოდა, შედეგი სხვანაირი გამოსულიყო. მაგალითად, მეტოქეს მოწოდება პირველად აგასიმ აართვა, მაგრამ ჰიუიტმა ზედიზედ 5 გეიმის მოგებით უპასუხა, ანუ დაინარჩუნა პირველი სეტი და მეორეში 2:0 დაწინაურდა. აგასიმ კიდევ იბრძოლა, მეორე სეტის მე-6 გეიმში ერთხელაც იმარჯვა ოზის მოწოდებაზე და იმწამსვე გაფლანგა მოპოვებული, თან ორმაგი შეცდომით. მერე ჰიუიტმა ჩააწოდა 3 ეისი და მატჩი მოიგო. მისი გამარჯვების სამართლიანობაზე იმიტომ ვუთითებთ, რომ ჯერ ერთი, აგასი ხშირად ცდებოდა, რაც მიუღებელია პროფესიონალისთვის და ავსტრალიელის სტატისტიკამაც აგასისას ერთობ აჯობა. მოკლედ, ჰიუიტი გუსტავო კუერტენს ცოტათი დაუახლოვდა და მისი შანსი, სეზონი რეიტინგით პირველმა დაასრულოს, უფრო რეალური გახდა.

„დღეს ჩოგანს უაღრესად კარგად ვცემდი — თქვა ჰიუიტმა პრესკონფერენციაზე — არ ვფიქრობ იმაზე, სეზონი მაინცდამაინც პირველმა დავასრულო. რაც იქნება, იქნება..."

მეტოქის წარმატების შეფასებისას აგასიმ თავის უხეირობაზე მეტი ილაპარაკა. „მისი თამაშის მაღალი დონის მიუხედავად — შენიშნა „დიდი სლემის" 7 ტიტულის მფლობელმა, ვინც ჰიუიტთან კარიერაში მეორეჯერ წააგო — წაგება უფრო საკუთარ თავს უნდა დავაბრალო. უკმაყოფილო ვარ დღეს ჩემი დარტყმების ძალით და სიზუსტითაც".

ნახევარფინალში გასვლას აგასი მოახერხებს, თუ მე-3 წრეში სებასტიენ გროჟანს მოუგებს. წრიული ტურნირის ბოლო თამაშს ორივე ჩოგბურთელისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოგებული მეორე ადგილზე გავა და თამაშს გააგრძელებს. ჯგუფში პირველობა ჰიუიტმა უკვე გაიფორმა და ოზური დერბი მასა და პატრიკ რაფტერს შორის ფორმალობა იქნება. უკანასკნელმა დაღრეჯილი სახით გაუძლო ორ სეტს გროჟანთან და კორტი დამარცხებულმა დატოვა.

მტკივანი მხარი რაფტერს მთელი მატჩის განმავლობაში აწუხებდა. კომპრესებს ადებდნენ, მაგრამ მაინც შეწუხებული ჩანდა. გროჟანის უპირატესობა თვალსაჩინო იყო ორივე სეტში. ფრანგი ჩქარა მოძრაობდა კორტზე და გვარიანად ძნელ ბურთებს ასწრებდა. რაფტერი დამარცხებისთვის მე-2 სეტის მე-6 გეიმში გაიწირა. მანამდე ავსტრალიელი რიგიან მოწოდებათა წყალობით თავისი გეიმების დანარჩუნებას ახერხებდა და პირველი სეტი მხოლოდ ტაიბრეიკში წააგო. მაშინ კი პირველად დაუთმო მოწოდება მეტოქეს და თამაშიც ფაქტობრივად ამით დამთავრდა.

ტრავმის მიუხედავად, ამერიკის ლია პირველობის ჩემპიონი დევისის თასის ფინალს ითამაშებს ფრანგებთან და მერე მინიმუმ დიდხანს (თუ სულ არა), ჩოგანს აღარ გაეკარება.

**დავით გულუა**

ამ გაზაფხულის მიწურულს მყინვარწვერზე მოეწყო მთამსვლელთა ქართულ-იტალიური ექსპედიცია. ექსპედიციის წევრები იყვნენ: იტალიელები — სილვიო კალვი, ფრანკო მაესტრინი, ქართველები — გურამ კალანდაძე, ბენო ქაშაკაშვილი, პაატა კიკაჩეიშვილი, თამაზ შარაშენიძე და ამ სტრიქონების ავტორი. ამათგან პირველი სამი სამოცს გადაცილებული კაცი გახლდათ.

სილვიო კალვი იტალიაში ალპინისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, უაღრესად განსწავლული და მთის პრობლემებში ღრმად გარკვეული, სპეციალობით არქიტექტორი გახლავთ.

ფრანკო მაესტრინის მიმართაც ზუსტად იგივე ეპითეტები შეიძლება გამოვიყენოთ. დავძენთ მხოლოდ ერთს — ფრანკოს მთაში მოყინვის შედეგად ფეხის თითები აქვს ამპუტირებული. მიუხედავად „მოწიფული" ასაკისა და ამ ფიზიკური „ნაკლისა", იგი არ ეპუება სირთულეებს. მან მყინვარწვერზე თხილამურებიც აიტანა და მისი უნაგირიდან (4800მ) მეტეოსადგურამდე ჩამოისრიალა.

მყინვარწვერის დალაშქვრას იტალიელებისათვის შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა — ისინი გაეცნენ კავკასიონის ამ ულამაზეს მწვერვალსა და მის რაიონს, ალპინიზმის და სამთო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით კი მისი უსაზღვრო შესაძლებლობები შეისწავლეს. ქართველებისთვის ამ ექსპედიციას პრაგმატული დატვირთვა გააჩნდა, რადგან რეალურად დაისახა ჩვენი სტუმრების მეშვეობით ამ სფეროში იტალიელებთან ურთიერთობის სიკეთე.

ამ შემოდგომაზე სილვიო კალვი თბილისში XIX საუკუნის ცნობილი მოგზაურის ვიტორიო სელას ფოტონამუშევრების გამოფენასთან დაკავშირებით კვლავ გვეწვია. მან ჩამოგვიტანა საქართველოში თავისი წინა მგზავრობის შესახებ იტალიის ალპურ კლუბში (რომელიც ათიათასობით წევრს აერთიანებს) წაკითხული მოხსენების ტექსტი, რომლის მოკლე შინაარსის ჩემეულ თარგმანს გთავაზობთ.

**გაგა ძვარაცხელია**

*საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია*



სილვიო კალვი

# საქართველო ჩემს ცნობიერებაში

## მოხსენება იტალიის ალპურ კლუბში

### მოგზაურობა

ყველაფერი ელვის სისწრაფით განვითარდა. მსოფლიოში ცნობილი მთამსვლელის სიმონე მოროს თაოსნობით ბერგამოს ალპურ კლუბს საქართველოდან ბენო ქაშაკაშვილი ეწვია.

ბენოსთან საუბრის შემდეგ სურვილი გამიჩნდა დავხმარებოდი მას 1934 წელს მყინვარწვერის კალთებზე, 3700 მეტრის სიმაღლეზე აგებული მეტეოსადგურის შენობის მოწესრიგების შესაძლებლობათა განსაზღვრაში.

ბენომ აღმიწერა გარემო, მიამბო იქ კლდეში ანტიკური ხანის გამოქვაბულზე, სადაც თურმე ინახება საიდუმლო ინფორმაცია აბრამის საჩრდილობლის ადგილსამყოფელის შესახებ და სადაც მიჯაჭვული იყო პრომეთე (ქართულად ამირანი), რომელმაც კაცობრიობას ღმერთთაგან მოტაცებული ცეცხლი დაუბრუნა.

რა მომხიბლავი ლეგენდებია!!!

ამას მოჰყვა ინტერნეტით მიწერ-მოწერა და ჩემი სტუმრად მიწვევა საქართველოში. გადავწყვიტე, მარტო არ წავსულიყავი და ფრანკო რამდენიმე სატელეფონო საუბრის შემდეგ სამოგზაუროდ დავითანხმე.

აი, ჩვენ უკვე თბილისში ვართ. დილიდან დაღლილნი და მთვლემარენი დავყვებით ბენოს ქალაქის ქუჩებსა და მაღაზიებში, სადაც ის ლაშქრობისთვის აუცილებელ სანოვაგესა და საქონელს ყიდულობს.

ყაზბეგში, ხევის მთავარი დაბისკენ გამგზავრებულნი გზად გუდაურში ვჩერდებით, სადაც მშვენიერი სათხილამურო ტრასებია. აქა-იქ გვხვდებიან მწყემსები. ირგვლივ მრავლადაა მინერალური და თბილი წყლის წყაროები.

15-საათიანი ურთიერთობის შედეგად ჩვენ უკვე ნამდვილი მეგობრები ვხდებით.

მეორე დღეს უთენია შევუდექით აღმართებს. ღმერთო, რა მძიმე ზურგჩანთაა! თამაზი მიხვდა და შემეშველა, ზურგჩანთა შემიმსუბუქა, ლამის სულ დაცალა. ავუარეთ კავკასიის ერთ-ერთ ულამაზეს ადგილზე აგებულ სამების ტაძარს და გავუყევით დაუსრულებელ აღმართს.

12-საათიანი სიარულის შემდეგ მეტეოსადგურს მივაღწიეთ. შემდეგი დღე აკლიმატიზაციას ეთმობა, მესამე დღეს კი ფრანკო უკვე მყინვარწვერზეა (5048მ).

ვათვალიერებ მეტეოსადგურის შენობას, ვფიქრობ, როგორ შეიძლება მოწესრიგდეს აქაურობა.

მომდევნო დღეს ამინდი გაფუჭდა: ცივი ქარი ქროდა, თოვდა, ნისლი გასქელდა და ცივილიზაციასთან დაბრუნების დროც მოვიდა.

### შეხვედრები

შევხვდით მთის მეგზურებს და გულღია ხალხი გავიცანით, ნამდვილი ვაჟკაცები. მოგზაურობის ფინიში გვქონდა გია სუჯაშვილის სახლში, სადაც ვივახშმეთ, მერე კი დავბრუნდით თბილისში.

მეორე დღეს ალპურ კლუბში გვქონდა შეხვედრა საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობასთან.

ფედერაციის წევრები არიან სამოც წელს მიღწეული მთამსვლელებიცა და ალპებსა და ჰიმალაებში შეძენილი უდიდესი გამოცდილების მქონე, საუკეთესო სპორტულ ფორმაში მყოფი ახალგაზრდებიც. ისეთები, როგორიც ბენოა. ისინი წუხან სამოქალაქო ომის შედეგად დანგრეული და გაძარცვული კლუბის ბედზე, სამთო საჭურველის უკმარისობაზე, ახალგაზრდების სპორტულ პროგრამათა ნაკლებობაზე... სულითა და გულით სურთ აღორძინონ და აამუშაონ მოშლილი მექანიზმი.

აზრებს ერთმანეთს ვუზიარებთ. ვინიშნავ ყველა იმ პრობლემას, რომელთა გადაჭრა ადვილია. ესაა, უპირველეს ყოვლისა, მათი მომარაგება სათანადო ლიტერატურით.

ამას მოსდევს უფრო დიდი პროექტები: ინფორმაციის გავრცელება უშბისა და ყაზბეგის შესახებ; ხალხის გამოგზავნა სამეკლდეუროდ, ინფორმაციისა და ტექნიკის გასაცვლელად; და, რაც მთავარია, მისახედია ყოფილი მეტეოსადგური. ამისთვის ბევრი რამაა საჭირო, კერძოდ: სახსრების მოძიების პროგრამების მოფიქრება. ეს უნდა იყოს მრავლისმომცველი პროგრამა, როგორც ადგილობრივთათვის, ასევე უცხოელებისთვის, წამოსაწევია ზოგადად ხევის პრობლემატიკა, რაშიც მთის წელიწადმა — 2002 წელმა, შესაძლოა გარკვეული როლი ითამაშოს; საჭიროა მისთვის საერთაშორისო პრესტიჟის მისანიჭებელი საქმიანობის გაშლა, მისი მიყვანა მინიმალური სტანდარტების დონემდე. ეს ულამაზესი ობიექტი ამით უფრო გალამაზდება.

საქართველოს მთამსვლელები იმსახურებენ ყოველივე ამას; ისინი არიან მთაზე უზომოდ შეყვარებულნი, უანგარო, გულმხურვალე ენთუზიასტები. მთა მათი ცხოვრებაა.

**სილვიო კალვი**

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ერთობლივი პრემიების მიმნიჭებელი კომისია შეგახსენებთ, რომ დაწესებულია ოთხი პრემია, თითოეული 250 ლარის ოდენობით:

1. წლის საუკეთესო პუბლიკაციისთვის
2. წლის საუკეთესო სატელევიზიო გადაცემისთვის
3. წლის საუკეთესო რადიოგადაცემისთვის
4. წლის საუკეთესო ფოტოსათვის

საკონკურსო მასალები უნდა წარმოადგინოთ მიმდინარე წლის

15 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე

სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ოფისში (რუსთაველის 42)

ასევე გთხოვთ, ამავე ვადაში წარმოადგინოთ მასალები ნოდარ გუგუშვილის სახელობის ყოველწლიური პრემიის მოსაპოვებლად.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

99-08-22, 99-94-09, 8 99 90-26-32

*საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია*



ევროპის გუნდური ჩემპიონატი. ლეონი (ესპანეთი)

# პირველის სიკვდილი

## არახამია პერპეტუუმმობილე არ არის

**ფრანგი** ვაჟები ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე კვლავ არავის უთმობენ პირველობას. მე-7 ტურში თინეიჯერმა ეტიენ ბაკრომ დაალალატა თავისიანები (იგი სანაკრებო ლიდერად ვერაფრით ჩამოყალიბდა), მაგრამ მომდევნო დაფების „მამლებმა", თუ შეიძლება ფრანგ მოჭადრაკეებსაც დროებით ასე ვუწოდოთ, ქულების მაქსიმუმი გამოწურეს შვედებთან ბრძოლისას და საფრანგეთი ლიდერად დარჩა, რადგან მდევარმა ჰოლანდიამ ასევე 3:1 მოუგო ბელარუსს.



ენტონი მაილსი

დიახ, რუსეთის არყოფნა და მსოფლიოს ჩემპიონ უკრაინის საკმაო უსუსურობა ბევრ ისეთ ნაკრებს უჩენს ევროპის ჩემპიონობის შანსებს, ადრე ამაზე ერთობ მოკრძალებით თუ იფიქრებდა, თუმცა უკრაინამ მე-7 ტურში გაიმარჯვა. ვლადიმირ ბაკლანის ქულამ გიორგი ყაჭეიშვილთან უკრაინელებს ქართველებზე მინიმალური ანგარიშით მოგება არგუნა, რადგან სამ სხვა პარტიაში ყაიმი აღირიცხა, მათ შორის ვასილი ივანჩუკისა და ზურაბ სტურუას დაფაზე. სტურუა, ალექსეი შიროვთან ბრძოლისა არ იყოს, ახლაც შავებით თამაშობდა და ჭადრაკის მეორე გიგანტის (თუ ექსგიგანტის — როგორც ზოგი ამბობს) იერიშებსაც წარმატებით გაუძლო.

ინგლის-გერმანიის საჭადრაკო შუღლის პრინციპულობა საფეხბურთოს მეათედიც არ იქნება, მაგრამ ამჯერად ანგლო-ალემანურ დუელს უაღრესი სატურნირო მნიშვნელობა ჰქონდა, ორივე ნაკრები მოწინავეებში ერია.

მაიკლ ადამსმა თავის ობობასებრ სტილში მოახრჩო კრისტოფერ ლუტცი, ნაიჯელ შორტმა ქულა გაუყო დოქტორ რობერტ ჰიუბნერს, ყაიმი იყო მესამე დაფაზეც და სულ ბოლო პუნქტში მაინც გერმანელმა იძალა, ამიტომ 2:2. ინგლისელებმა ეს და წინარე ტურები მძიმე განწყობით ითამაშეს, რადგან ორი დღის წინ გარდაიცვალა პირველი ინგლისელი დიდოსტატი ენტონი მაილსი, 46 წლისა. კარიერის მანძილზე მაილსმა 9 ტურნირი მოიგო, არა ისეთი, მეორეხარისხოვანი, არამედ ბილის, ტილბურგის და მისთანები. ლეონში მაილსის ხსოვნას საკადრისი პატივი მიაგეს.

ქალთა ჩემპიონატზე ფრანგებმა ერთპიროვნული ლიდერობა დაკარგეს, ხოლო საქართველომ გერმანიასთან წაგებით საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის საქმე უფრო გაირთულა. პირველ დაფაზე ქეთევან არახამია-გრანტი ქართველსავე ქეთევან კახიანი-გერშინსკას ხვდებოდა, რომელიც გერმანიის მოქალაქეა. არახამიას ერთ ტურშიც არ დაუსვენია, ამიტომ მისი წაგება კახიანთან ამ მხრივაც ლოგიკური ჩანს. კარო-კანის დაცვაში კახიანმა უკეთ გაითამაშა მიტელშპილი და პატარა კომბინაციით ორი პაიკი მოიგო. არახამიამ წონასწორობა ხარისხის მოგებით აღადგინა, მაგრამ პოზიცია დაუმძიმდა და მერე რა, რომ ენდშპილში არახამიას ეტლი ჰყავდა კახიანის მხედრის წინააღმდეგ. შავი პაიკები უპრობლემოდ მიცოცდნენ პირველ ჰორიზონტალამდე და არახამია დანებდა სრულიად უიმედო პოზიციაში, 64-ე სვლაზე. დიაგრამა იხილეთ.

**დავით გულუა**



### ვითარება 7 ტურის შემდეგ

**ვაჟები**

1. საფრანგეთი 19,5; 2. ჰოლანდია 19; 3-4. ინგლისი, ისრაელი 17,5; 5. გერმანია 16,5; 6-9. სლოვენია, შვედეთი, ჩეხეთი, საბერძნეთი 16

**ქალები**

1-2. საფრანგეთი, უკრაინა 10; 3-4. მოლდოვა, ინგლისი 9,5; 5-6. იუგოსლავია, გერმანია 9; 7. ჰოლანდია 8,5; 8-10. პოლონეთი, აზერბაიჯანი, საქართველო 8

გამოიწერეთ
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
ხელოვნური კრისტალით 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი"

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ღიმილის ბიჭი



ჰასიმ რაჰმანს რომ უყურებთ, ხელში გაზეთი უჭირავს და იღიმება. საზოგადოდ, ეს ლასვეგასური გაზეთი მრავალგვერდიანია, უბრალოდ, მძიმე წონის უდავო ჩემპიონ მოკრივეს პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის და სხვა გვერდები გადაუგდია და სპორტის ამბებს კითხულობს.

და სანამ რაჰმანი იღიმება, მის მიერ ამ შვიდი თვის წინ დანოკაუტებული ლენოქს ლუისი ხელს იხვევს, თვალებზე ეტყობა, რომ გონება მოუკრებია და ვარჯიშობს.

დანარჩენი კი შაბათს, ლას ვეგასში გაირკვევა. ან რაჰმანი ჩემპიონად დარჩება, ანაც ლუისი სამივე ქამარს დაიბრუნებს.



REUTERS



THE SUN

# მანდ რა გინდა?



სიდნეიში გახურებული „მასტერს კაპია“. რუსი ევგენი კაფელნიკოვი ესპანელ ხუან კარლოს ფერეროს შეხვდა. მოგეხსენებათ, ევგენი (ძალიან არ უყვარს ჟენიას რომ ეძახიან) ძლიერია. მან ფერეროს 4:6, 6:1, 7:6 სძლია და თან ისე აუბნია თავგზა, რომ ესპანელი ერთ-ერთი შესვენების დროს თავისი სკამის მაგივრად მსაჯის სკამზე აბობღდა და იქ დაჯდა.

# ჩქარა, ქვითარი!

აბა, გამოიცანით, რით მიიპყრო ამ ქალმა ჩვენი ყურადღება? ...არა, ბატონო, მაგით არა. მარტო მაგით სპორტულ გაზეთში ვერ მოხვდები. მაშ? იმით, რომ ხვალ, სამხრეთ აფრიკაში, კერძოდ სან სიტიში „მის მსოფლიოს“ კონკურსია, ხოლო ეს ლამაზმანი, „მის ჩილე“, 23 წლის კრისტიან ბალმელი, მეორე ფავორიტია 4-1 კოეფიციენტით. მთავარი ფავორიტი „მის ამერიკაა“ და ყოველივე ამას ქართული ტოტალიზატორი „კროკოც“ ეხმიანება.



REUTERS

# მს ოქმში არ შესულა

ოტავამ ვაშინგტონს 11:5 მოუგო. ეს გამარჯვება ოქმში ღირსეულად შევიდა, ფოტოს კი აი რა შემორჩა: ოტაველმა ანდრე რუამ ერთ ეპიზოდში ვაშინგტონელ დინ მელანსონს მუცელში ყვანჯი ატაკა და ააყირავა, მელანსონმა კი, რომ წამოდგა, რუას ერთი ისეთი უთავაზა, საბრალო, ბორტს გადააფრინდა და მეტოქის სკამქვეშ ამოჰყო თავი.



REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge